კომუნისტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: თვეში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტეხნიკას", განცხადებანი: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ტექსტში ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—3 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 18—80.

დღიური

— ამხ. სტარქოვის ხსოვნის აღსანიშნავად ბერლინში სამოქალაქო პანაშვიდი იქნა გადახდილი.

— ამერიკის ფინანსური წრეები [illegible] პოზიციის გამორკვევას.

— ბულგარელ რევოლიუციონერების გასამართლება პირველ მაისს დაიწყება.

— ბუქარესტში დაიწყო რუმინელ კომუნისტების პროცესი.

— ამხ. კოპპი აქ დღეებში გადასცემს იაპონიის პრინც-რეგენტს რწმუნების სიგელებს.

ხუთშაბათი, 30 აპრილი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 97 (1252)

გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებანი

(მათი ყრილობის გამო)

გლეხობის ნებაყოფლობითი შეკავშირების და თვითმოქმედების ყველაზე უფრო მასიურ ფორმად უეჭველად გლეხთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებები უნდა ჩაითვალოს.

ორი წელიწადიც არ არის მას შემდეგ, რაც გლეხკომების დაარსება-ჩამოყალიბება დაიწყო ჩვენში, მაგრამ მიუხედავად ამისა მათი რიცხვი რესპუბლიკაში დღეს 1.500 აღემატება. ეს მოწმობს, თუ როგორ სწრაფად იზრდება სოფლად ახალი საზოგადოებრიობა. თუ როგორ გაძლიერდა გლეხობაში საზოგადოებრივი თვითმოქმედების და თაოსნობის სწრაფვილი.

თავის თავად ცხადია, ამ მხრივ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. მრავალ ალაგას გლეხკომი არ არსებობს, ბევრგან კიდევ მცირერიცხოვანია მისი შემადგენლობა. ჩვენს ამოცანას შეადგენს მთელი ღარიბი და საშუალო გლეხობის თავმოყრა გლეხკომებში.

მაგრამ მარტო რიცხვობრივ ზრდას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. უმთავრესია გლეხკომების მუშაობის შინაარსი, მისი სწორი მიმართულება, თითეული გლეხის დაინტერესება და აქტიური ჩაბმა გლეხკომის საქმიანობაში.

ამ მხრივ თუ შევხედავთ საქმეს, გლეხკომების მოღვაწეობაში უთუოდ დავინახავთ საგრძნობ მიღწევებს. მათ შექმნეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფონდები. ისინი ნივთიერი და შრომითი დახმარებას უწევენ შეუძლო მეურნეთ, გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახებს. აქა-იქ აქვთ წვრილი წარმოებანი. ხელს უწყობენ სოფლის კეთილმოწყობას. ალაგ-ალაგ ეწევიან კოლექტიურ მეურნეობას.

მაგრამ ამასთან გლეხკომების მუშაობაში ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ შეცდომებს და სუსტ მხარეებს.

გლეხკომებმა არა ყველგან შესძლეს მჭიდრო, უშუალო კავშირის გაბმა მთელ მშრომელ გლეხობასთან. თუ გლეხკომი მოსწყდება გლეხურ მასას და ერთგვარ კანცელარიად გადაიქცევა, ამით ის სავსებით კარგავს თავის არსებობის აზრს. ჩვენ მიზნად უნდა ვისახავდეთ, რათა გლეხკომი ნამდვილად გახდეს სოფლის მშრომელი მოსახლეობის თვითმოქმედების ფართე, მასიურ ორგანიზაციად, მან თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ყოველი მშრომელი გლეხი და განავითაროს მისი აქტივობა.

სხვათა შორის, ეს მოხერხდება, იმ შემთხვევაში თუ ამ საზოგადოებათა ხელმძღვანელ ორგანოებში იქნებიან არჩეული გლეხობისათვის ყოველმხრივ სანდო, პატიოსანი და მასთან დაკავშირებული პირები, რომელთაც ამასთან გააჩნიათ მუშაობის საკმაო ხალისი და ენერგია, აგრეთვე კარგად აქვთ გათვალისწინებული გლეხკომის ამოცანები. და ჩვენ ვამბობთ, რომ გლეხკომთა ხელმძღვანელ შემადგენლობის საკითხი არ არის სათანადოთ გადაჭრილი. მომზადებულ მუშაკების ნაკლებობა ადგილობრივად—ეს ჩვენი საერთო უბედურებაა, მაგრამ გლეხკომების მდგომარეობა ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდია. ხშირად ამ ორგანიზაციებში ხვდებოდენ ისეთი ელემენტები, რომელნიც არამც თუ არაფერს აკეთებდენ გლეხობის სასარგებლოდ, არამედ „მუშაობდენ" თავის ჯიბისათვის, უცხონი იყვნენ მშრომელი გლეხობისათვის და თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხდენ გლეხკომებს. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და გლეხკომებს შეძლებისდაგვარად უნდა მივაწოდოთ მომზადებული და გლეხობის გულშემატკივარი მუშაკები.

ნაწილობრივ კარგი ხელმძღვანელების ნაკლებობას გლეხკომებში უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ მათ ბევრგან ვერ შესძლეს სწორი ურთიერთობის დამყარება დანარჩენ სასოფლო ორგანიზაციებთან. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საბჭოები და კოოპერატივები, რომელთა ფუნქციებს გლეხკომები ხშირად ითვისებდენ. გლეხკომები არიან მრავალ რამეში საბჭოების დამხმარე ორგანოები, მათ ხელი უნდა შეუწყონ გლეხობის დარაზმვას კოოპერატივებში.

ყველაზე უფრო დიდი ნაკლი გლეხკომების მუშაობაში არის ის, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კოლექტიური მეურნეობის განვითარებას სოფლად. მიწის ფონდების კოლექტიურად დამუშავება, მთელი გლეხური მეურნეობის თანდათანი გადაყვანა კოლექტიურ საფუძველზე, ამ მხრივ სიტყვიერი უფრო კი პრაქტიკით აგიტაციის გაწევა,—ასეთია გლეხკომის ძირითადი ამოცანა. აქეთკენ უნდა იქნას მათი მუშაობა მიმართული.

ამასთან ცხადია, რომ გლეხკომებმა აწიც უნდა განაგრძონ და უფრო გააძლიერონ შრომითი და სხვაგვარი დახმარების გაწევა შეუძლო და დაზარალებულ მეურნეთადმი.

ბოლო დრომდე გლეხკომები განიცდიდენ ორგანიზაციული მშენებლობის პერიოდს. არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული მათი ფუნქციები, მოვალეობანი, უფლებები. შემდეგ გამოიცა ვრცელი დებულება გლეხკომების შესახებ, რამაც ისინი გარკვეულ კალაპოტში ჩააყენა, მათ მიუჩინა გარკვეული ადგილი ჩვენი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სისტემაში. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ნაკლოვანებათა აცილებას და გლეხკომების მუშაობისათვის სწორი მიმართულების მიცემას.

გლეხკომებს ჩვენს პირობებში აქვთ უაღრესი მნიშვნელობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე მოხდა ახალი ბურჟუაზიის, კულაკურ ელემენტის აღორძინება სოფლად. გლეხობა დაიყო სოციალურ ფენებად. გლეხკომი, რომელიც აერთიანებს ღარიბ და საშუალო გლეხობას, არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უპირდაპირდება გლეხობის მდიდარ ნაწილს. იგი არის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი სოფლად. ამაშია გლეხკომის არსებობის პოლიტიკური აზრი. ამასთან იგი ებრძვის ღარიბ გლეხობის დამონებას კულაკების მიერ, უწევს რა მას დახმარებას, ამით ასუსტებს კულაკების ეკონომიურ გავლენას სოფელში.

ამავე დროს გლეხკომი ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელმაც უნდა განავითაროს სოციალისტური ელემენტები სოფლის მეურნეობაში.

როგორც ვხედავთ მეტად დიდია და რთული გლეხკომების ამოცანები. ამდენადვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გლეხკომების ყრილობას, რომელიც დღეს იხსნება.

ეს იქნება გლეხობის თვითმოქმედების დათვალიერება. ყრილობა გააშუქებს მიღწევებს თუ ნაკლოვანებებს გლეხკომების განვლილ მუშაობაში, იგივე, ადგილობრივ გამოცდილებას და ჩვენს წინაშე ამ ჟამად მდგარ ამოცანების მიხედვით, გამოიმუშავებს მომავალი მოქმედების მთლიან გეგმას.

სალამი გლეხკომების ყრილობას, სალამი მშრომელ გლეხობის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს!

საბჭოთა ძირითადი ორგანოების გამოცოცხლების საკითხები

3. ბრძოლა ძირითად საბჭოთა ორგანოების ბიუროკრატიზმთან

როდესაც ვლაპარაკობთ მრეწველობის აღდგენის და შრომის ნაყოფიერების შესახებ, პროლეტარიატის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ჩვენ იმავე მნიშვნელობით ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზედ, სოფლის მშრომელ გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ იმ მიზნით, რომ შევძლოთ კავშირის გამაგრება ქალაქსა და სოფელს შორის და შევქმნათ როგორც კომუნისტური პარტიისთვის, ისე საბჭოთა ხელისუფლებისთვის, სოფელში მტკიცე მდგომარეობა.

ჩვენი გლეხობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებით და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა გამო საგრძნობლად გამაგრდა, პოლიტიკურად გაიზარდა და ამის მიხედვით იჩენს მეტ აქტიობას ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე სამეურნეო ცხოვრებაში. ძირითადი საბჭოთა ორგანოების ზოგიერთი მომუშავენი არ უწევენ ანგარიშს ამ მდგომარეობას და არა ცდილობენ თავის მუშაობაში ცვლილების შეტანას, არა სურთ მუშაობაში ადმინისტრატიული ზეგავლენის მეთოდები შესცვალონ შთაგონების მეთოდებით, ნამდვილ დემოკრატიულ მეთოდებით, ე. ი. მუშაობის იმ მეთოდებით, რომლებიც მიღებულია საბჭოთა საზოგადოებრივობის პირობებში.

ჩვენ უნდა შევქმნათ სოფლად ისეთი პირობები, რომ თემის ან სოფლის საბჭო გლეხისათვის იყოს ისეთი დაწესებულება, რომელიც იცავს მის პიროვნებას, პოულობს იქ შველას და სთვლის მას თავის ავტორიტეტათ, რომელიც მტკიცედ სდგას მისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების დაცვის ნიადაგზედ.

თემსაბჭოები და აღმასკომები ხშირ შემთხვევებში ბოროტად იყენებენ თავის ადმინისტრატიულ უფლებებს. საჭიროა, რომ ეს ადმინისტრატიული უფლებები მათ გამოიყენონ სოფლის მცხოვრებთა იმ წრეების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რევოლიუციონური სამართლიანობის გატარებას, არღვევენ საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს და არ ემორჩილებიან, ან არ უწევენ ანგარიშს ადგილობრივ და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

თემსაბჭოს უნდა მიენიჭოს აგრეთვე საბიუჯეტო უფლებები იმ მოსაზრებით, რომ მას ჰქონდეს თავისი საკუთარი შემოსავალ - გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თემაღმასკომში მთხოვნელთა მიღებას თავმჯდომარის, მდივნის, ან რომელიმე წევრის მიერ.

ხშირად თემაღმასკომში ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მიდგომას მთხოვნელებისადმი. ეს მოვლენა ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხებზედ. უნდა ყოველგვარი ღონისძიებანი იქნეს მიღებული ძირითად საბჭოთა აპარატებში ბიუროკრატიზმის სავსებით აღმოფხვრისათვის.

უხეში მოპყრობა, უპატივცემლობა—ყველაფერი ის, რაც შეადგენს ჩვენი ძირითადი საბჭოთა ორგანოების მუშაობის უარყოფით მომენტებს, უნდა იქნეს გადალახული.

თემსაბჭოებში მუშაობის გამოცოცხლება უნდა მოხდეს ფართო გლეხური მასის აქტიური დახმარებით; პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება უნდა მიპყრობილ იქნეს იმ მხრივ, რომ გლეხკაცობის აქტიობა ნამდვილად გამოვიყენოთ სოციალისტურ აღმშენებლობისათვის და ოქტომბრის რევოლიუციით მოპოებულ ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებისათვის.

დ. აფციაური.

ჰიჰი ლიპარტიას უსტარი მენიკისთან

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

სპირტით აკრძალული ვაჭრობა ვის არ გაუგონია. ალბათ ყველას ახსოვს ნეტარხსენებული „სპირდონ ივანიჩი". რამდენი ოხუნჯობა და ანეკდოტი ითხზებოდა ამ სახელის გარშემო ათიოდე წლის წინათ საქართველოში.

„სპირდონი" (სპირტი) კუბოში ჩაწვენილი ვითომ მიცვალებული მიაქვთ, „სპირიდონი" ბალიშში მოქცეული ბუმბულის მაგიერ, „სპირიდონი" შარვლის უბეში ამოკრული და ზოგჯერ იგივე „სპირიდონი" ჩემოდანში. შინაურულად, არხეინათ „მწოლარე", თუ, რასაკვირველია, „ზეთ წასმული" იყო მატარებლის ადმინისტრაცია.

განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო „სპირიდონთან" მეგობრობაში (ე. ი. სპირტით ვაჭრობაში) სტუდენტობის ერთი ნაწილი. ეს მეგობრობა ხშირად ისე გულითადი ხდებოდა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტისათვის სხვათა შორის არსებობდა. საქართველოში ეხლაც შეხვდებით დამსახურებულ, „სტაჟიან" ვაჭარს, რომელმაც თავისი კომერციული კარიერა „სპირიდონთან" ძმა-ბიჭობით დაიწყო.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა გაიარა! წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ძველი რუსეთის თავზე, თორემ სხვა არაფერი დაჰკლებია მას. მოკვდა ადრინდელი ლურჯქუდიან სტუდენტის ტიპი. დღეს ის არქაიულ საგანძულს წარმოადგენს. მაგრამ ხურავის ჰგონია, რომ ძველი, ქართველი სტუდენტის მეგობარი, „სპირიდონი", ჩაბარდა ისტორიას. ის ჯერ კიდევ საიმედო ხელში იმყოფება.

უსაქმური ინტელიგენტი, გაკონტრებული ვაჭარი, ერთი სიტყვით, ყველა ბედის მაძებარი, საბჭოთა საზოგადოებრივობიდან გარიყული ელემენტი, აი ის ხალხი, რომელიც „გასტროლიორობს" ხშირათ საქართველოდან რუსეთში და რომლითაც უდგია სული კიდევ ჩვენ ძველ ნაცნობს „სპირიდონ ივანიჩს".

მაგრამ გასტროლიორებს კიდევ შეურიგდებოდა კაცი. ეს, ვთქვათ, არც ისე დიდი ცოდვაა. მთავარი ისაა, რომ მოსკოვში იშვიათია ისეთი კერძო სასადილო და რესტორანი, რომელიც ქართველს არ ეჭიროს. და, თუ სასადილოში ქართველია, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ იქ „სპირიდონ ივანიჩი" დაგიხვდებათ. მაგრამ ძველ საქონელს, სპირტის კონტრაბანდას, ახალმა „სპირიდონისტებმა" ქალის სხეულიც დაუმატეს.

ადმინისტრაცია თავგამოდებით ებრძვის ამ სისაძაგლეს. ციხეებში მთელი კოლონიებია ქართველი ტუსაღების. ბევრი მათგანი შარშან ზამთარში ჩრდილოეთშიაც გადაასახლეს, როგორც სოციალურად მავნე ელემენტი, მაგრამ მათ მოღვაწეობას დღესაც კიდევ არა აქვს მოღებული ბოლო სავსებით.

მე მინდა გავაცნო ჩვენი გაზეთის მკითხველი ერთ ასეთ გმირს, ჰიჰი ლიპარტიას, საკუთარ ხელით დაწერილ ტრაგიკომიკურ წერილიდან, რომელსაც ის უგზავნის ციხიდან თავის მეუღლე მენიკის.

„ძვირფასო მენიკი, საქმეზე არ მიეშვა. ანდღულაძე ვასილას პირადათ გადაეცი წერილი და ყველას ისე ნუ მიუყვები ასე ჩამოვედი და ასე ძალიან გაჭირებულათ ვარ თქვა. ისინი მაინც შეატყობენ ჩვენი და შენი მდგომარეობას. ბინით უსათუოდ ანდრიასთან დაბინავდი. ფულზე ნურავის მოერიდები. ყველას უთხარი ფულზე ხელვიწროთ ვარ თქვა. ძალიან გაჭირებული ვარ თქვა არც ისე უთხრა არავის. მეც ქე მომქონდა ფული მაგრამ გზას ამომაცალა ერთი რუს ქალმა ათი ჩერვონეცი თქვა. არ მინდა ქმარმა გაიგოს თქვა. ისე ყველას თავდაჭერილათ და მშვიდათ ელაპარაკე. დაავალე ყველამ გამიწყვეტ ხელი ამისთანა გაჭირებაში თქვა. ქართველები თუ არ მომიწყობთ ხელს, აბა რუსებთან ხომ არ მივალ თქვა. როგორმე ყველა გაიჭირეთ და თქვენი დახმარებით გამომაშვებიეთ ქმარი თქვა. გამოსვლისთანავე ისე არ წავალ ყველაზე არ გაუსწორდე თითოეულის დახმარება თქვა. ტყვილა კი არ მინდა ხელის გაწყობა თქვა. სახლი გვაქ ბათომში და მამული და სახლი გვაქ მეგრელიაში თქვა. ესენიც არ გვქონდეს ისე არ დაგვეხმარები თქვა ეს მოვლენა დღეს ერთის თავზეა და ხვალ ყველას მოელის ამისთანა თქვა? ვინც ამით ვაჭრობთ ქართველები მაშინათვე უნდა დააფრინდეთ ხელით. უნდა უშველოთ ერთმანეთს. ეს ერთმანეთის მოვალეობას შეადგენს თქვა.

ანუ ჩემი წინადადება და ჩემი ასეთი სიტყვებით მომართვა თქვენ არც ქე უნდა გჭირდებოდეს. ვინც ხელს არ გამიწყობთ სირცხვილია თქვა. დედაშენივით უნდა ჩააგონო. დედა შენი სადაც მივა ისეთ სიტყვებით მიმართავს თამამად და დინჯათ იქვე გამოაღებინებს ყველას ხელს. შენ გრცხვენია, ყველაფერზე მოერიდები. ეს დრომ მოიტანა. ჩემი ქმარი ფართლის მოვაჭრე იყო, მაგრამ ასეთ რევოლიუციის ხანამ ასე დააყენა დრო თქვა. თქვენ კავშირი უნდა გქონდეს შეკრული, რომ მაშინათვე დაიხსნათ ერთი მეორე თქვა. ენა ამოიღე, თამამად მოიქეცი. არა თუ შენ გრცხვენოდეს ლაპარაკი, პირიქით შენ უნდა შეარცხვინო შენი ასეთი ლაპარაკით და შენზე უნდა ცხვენოდეს, ისე უნდა დააყენო კითხვა. ქალი ჩამოვსულვარ ამდენი ათასი ვერსიდან, ბავშვები მიმიტოვებია, სახლი მიმიტოვებია, მე აქეთ გამიეშურე ქმრის დასახსნელათ თქვა. ვექილივით უნდა ჩაჰკრა ყველა. მაშინ ძალაუნებურაცა დაგეხმარებიან. სითამამე და გამჭრიახობა იხმარე. აწი შენ იცი. გწერს შენი ჰიჰი".

ასეთია ჰიჰი ლიპარტიას უსტარი მეუღლე მენიკისთან. მისი გონებრივი სიმდიდრე, ნათლად მოსჩანს ამ წერილიდან. რაც შეეხება ნივთიერ ავლადიდებას, აქ ჰიჰის „პოეტური" გადამეტება მოუვიდა. მისი მოძრავი ქონება ბათომში ისე ადვილი დასაძრავია, რომ კურდღელსაც ტვირთად არ ეყოფა, ხოლო რაც შეეხება მამულს, ძროხა რომ შიგ ჩაწვეს, კუდის დასადები მიწა სასესხებლათ გაუხდება.

მაგრამ ჰიჰიკო არ ღონდება. ვინ იტყვის, რომ რევოლიუციის რვა წელმა მისთვის ფუჭად გაიარა. აბა დააკვირდით იმ „საორგანიზაციო დირექტივებს", რომელსაც ის ციხიდან აძლევს გარეთ დარჩენილ „სპირიდონისტებს". „თქვენ კავშირი უნდა გქონდეს შეკრული, რომ მაშინვე დაიხსნათ ერთმანეთი",—სწერს ჰიჰი თავის მეგობრებს მენიკის პირით. „ვინც ამით ვაჭრობთ ქართველები, მაშინათვე უნდა დააფრინდეთ ხელით, უნდა უშველოთ ერთმანეთს"-ო.

არა ჰიჰი, გენაცვალე. სჯობს დროს ნუ დაკარგავ. ციხეში მგონი პურისაგან მძივების და ირმის კეთებას ასწავლიან. რაც უნდ არ „დააფრინდეთ ხელით ერთმანეთს", საქმეს ველარაფერი უშველის.

შენ თვითონვე სწერ, რომ „ასეთ რევოლიუციის ხანამ ასე დააყენა დრო". მაშ ისევ პურის სრესა და მისი ჯანი. ციხიდან გამოხვალ, ხელობა მაინც შეგრჩება.

აკ. მყონია.

მოსკოვი, 23 აპრილი.

მე-14-ე საკავშირო პარტიული კონფერენცია

ამხ. ციურუპას მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

საგადასახადო ტვირთი გლეხობას სამი მეოთხედით შეუმსუბუქდა ომამდე არსებულ ნორმასთან შედარებით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ასი მილიონი მანეთი გადარიცხული იქნება სათემო ბიუჯეტში.

მიღებული იქნება ზომები, რათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანა გლეხობას არ გეუჭირდეს.

ამხ. რიკოვის მოხსენება კოოპერაციის შესახებ

„სოფლად კოოპერაციამ უნდა ითამაშოს უდიდესი როლი და შეასუსტოს გაძლიერების პროცესში მყოფ კაპიტალისტურ ურთიერთობათა გავლენა".

საბჭოთა კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა ჩვენი ქვეყნის მთელი სავაჭრო ბრუნვის 25—30 პროც. შეადგენს.—კოოპერატივების წევრთ რიცხვი რვა მილიონამდე ავიდა.

„უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თავისუფლება როგორც კოოპერატიული ორგანოების არჩევნების, ისე ამ ორგანოების პასუხისმგებლობა ამრჩევლების წინაშე"

„კოოპერაცია უნდა შეიქნეს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი სოფლად"

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამხ. ციურუპას მოხსენება

სოფლის მეურნეობა თითქმის აღდგენილია

თავის მოხსენებას ამხ. ციურუპა იწყებს მტკიცებით, რომ ჩვენი მეურნეობა ჩქარის ტემპით ვითარდება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა თითქმის აღდგენილია.

„მე მხოლოდ აღვნიშნავ—ამბობს მომხსენებელი—ერთ გარემოებას დღევანდლამდი ჩვენი მეურნეობის და, კერძოთ, სოფლის მეურნეობის მთელს განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან, პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რომელიც დაკისრებული აქვს გლეხობას.

გადასახადი ორჯერ ნაკლებია ომის წინა ხანების გადასახადთან შედარებით

ომის წინა ხანებში

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენათ მძიმე იყო შარშანდელი გადასახადი გლეხთა. მეურნეობისათვის. ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია გავცეთ მხოლოდ დაახლოვებითი პასუხი. ომის წინა ხანებში ყველა პირდაპირი გადასახადები, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა გლეხობას, შეადგენდა 1 მან. 80 კ. თვითეულ სულზე. პირდაპირი გადასახადის ამ 1 მან. 80 კაპ., 16 კაპ. მოდიოდა სახელმწიფო გადასახადებზე, 90 კ.—ერობის გადასახადებზე და 60 კაპ.—სხვა გადასახადებზე. არაპირდაპირი გადასახადების რაოდენობა უდრიდა 4 მან. 56 კაპ. და არასაგადასახადო ხარჯები, როგორც, მაგალითად, იჯარა, მიწის გადასახადი და სხვა.—4 მან. 1 კაპ., ამრიგად, საერთოდ **გლეხთა მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა 10 მან. 37 კაპ.** სხვადასხვა გადასახადები. ეს ცნობები შეეხება ომის წინა ხანებს.

როგორია ის ცნობები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ გადასახადების სიმძიმეს ამ ჟამად, რევოლიუციის შემდეგ?

ამ ჟამად.

ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობები: მხოლოდ ერთ წელში 1920—21 წელში გადასახადი უახლოვდებოდა ამ თანხას, შეადგენდა რა 10 მან. 30 კ., შემდეგმა წლებმა კი ასეთი შემცირება მოგვცა: 1921—22 წელში 6 მან. 11 კაპ., 1924—25 წ.—3 მან. 96 კაპ. მომავალ წელში, თუ დარჩება არაპირდაპირი გადასახადები და განსახორციელებლად მიღებული იქნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრი—300 მილ. მანეთი, მაშინ გადასახადები, რომლებიც მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდის, შეადგენენ **2 მან. და 77 კაპ.**, ამრიგად ჩვენ ვხედავთ იმ საგადასახადო სიმძიმის შემსუბუქებას, რომელიც აწევს მოსახლეობას.

თუ ჩვენ ავიღებთ მარტო პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს და 1912 წელს მივიღებთ 100-ათ, მაშინ ჩვენ მივიღებთ საგადასახადო სიმძიმის შემცირების შემდეგ სურათს 1920—21 წლიდან 1925—26 სამეურნეო წლამდი: **97, 78, 60, 68, 44.** თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა იმ გადასახადების მთელ ჯამს, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა გლეხებს რევოლიუციამდი, მაშინ მივიღებთ **კიდევ უფრო მეტი შემცირების სურათს**, რადგან ომის წინა ხანების გადასახადების ჯამში შედიოდა საიჯარო ფასი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები, **რომლებიც რევოლიუციამ მოსპო.**

თუ ჩვენ 1912 წლის გადასახადების ამ საერთო ჯამს მივიღებთ 100-ათ, მაშინ მივიღებთ ციფრებს **60, 48, 37 და მომავალ წელში—27.**

ამრიგათ, მომავალი საგადასახადო კამპანიის განმავლობაში გლეხობის დაბეგვრის სიმძიმე შემცირდება ომის წინა ხანების საგადასახადო დაბეგვრის **44 პროცენტამდე**, ე. ი. **ამ გადასახადის ნახევარზე ნაკლები იქნება**, ომის წინა ხანების ყველა გადასახადების საერთო ჯამთან შედარებით კი ჩვენი გადასახადი შეადგენს ომის წინა ხანების გადასახადების საერთო ჯამის **მხოლოდ ერთ მეოთხედს**. ჩვენ ვიცით, რომ შარშან განზრახული იყო 470 მილ. მანეთის შეგროვება გადასახადების აკრების წესით. გადასახადის ეს თანხა შემცირებულია 300 მილ. მანეთამდი. ამრიგად, წარსულ წელთან შედარებით გადასახადის ციფრი **შემცირებულია 40 პროც.**

ვამცირებთ სას.-სამ. გადასახადს,—ვადიდებთ სათემო ბიუჯეტს.

მიღებულია დადგენილება იმის შესახებ, რომ ამ თანხიდან **გადადებული იქნეს 100 მილ. მანეთი სათემო ბიუჯეტის სასარგებლოდ.** ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ შარშან ასეთი გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგენდა 90 მილ. მანეთს, აქედან სათემო ბიუჯეტზე მოდიოდა 45 მილ. მანეთი. მიმდინარე წელში კი მთელი **ეს 100 მილ. მან. მოხმარდება თემის განმტკიცებას, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.** ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა კითხვა, როგორი წესით უნდა მიიღონ ადგილებმა ანარიცხები, სახელმწიფო გადასახადებიდან გადარიცხვის წესით, თუ მათთვის დამატებითი თანხების მიცემის წესით. ადგილებიდან ისმოდა ხმები, რომ ასეთი დოტაციები გადასახადების წესით ადგილობრივ სათემო ბიუჯეტებს უნდა მიეცეს არა დამატებითი თანხების წესით, როგორც ეს შარშან იყო, არამედ გადარიცხვების წესით. ეს საკითხი სახალხო კომისართა საბჭოში გადაწყვეტილი იყო გადარიცხვების სასარგებლოთ.

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავისებურებანი.

1. გადასახადის თანხა განსაზღვრულია წინდაწინ.

როგორც იცით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მეურნეობის შემოსავლიანობას არკვევს შემდეგნაირად: ის ანგარიშობს სახნავ მიწებს, თვითეულ ცალკე მეურნეობაში ანგარიშობს სათიბებს, გადაყავს რა ისინი სახნავ მიწებზე და ანგარიშობს მსხვილფეხა საქონელს, გადაჰყავს რა ის სახნავ მიწაზე, ამასთანავე წვრილი მესაქონლეობა არ ექვემდებარება აღრიცხვას. დაბოლოს, სარეწავებს ემატება განსაზღვრული პროცენტი. ამრიგათ, ჩვენ გვაქვს ერთი ობიექტი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ მეურნეობის გადასახადის რაოდენობას,—ეს არის **სახნავი მიწა**, რომლის დესიატინებში არის გამონგარიშებული დაბეგვრის ყველა დანარჩენი ობიექტები.

ამ სისტემის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვეძლო გადასახადის ფურცლის წარდგენა მოსახლეობისათვის იმაზე ადრე, სანამ არ გამოირკვეოდა მოსავალი. და ვინაიდან მოსავლისათვის თვალყურის დევნება და მის შესახებ ცნობების შეგროვება კიდევ უფრო მეტ დროს მოითხოვს, ამიტომ საკმაოთ დიდი დრო გადიოდა, სანამ გადამხდელი მიიღებდა გადასახადის ფურცელს. ჩვეულებრივ გადამხდელი ამ ფურცელს იღებდა მაშინ, როდესაც ის იძულებული იყო გაეყიდა თავისი მეურნეობის პროდუქცია, რომ გაესტუმრებია გადასახადი.

მას არ შეეძლო თავისი მეურნეობის შეფარდება გადასახადის სიმძიმესთან.

ამას გარდა, ასეთი სისტემის დროს ტარდება გადასახადების სრულათ აკრეფის დაზღვევის პრინციპი, რომელიც დამყარებული იყო იმაზე, რომ ცუდ მოსავლიან ადგილებში ამ მოსავალთან შეფარდებით მცირდებოდა გადასახადი, სამაგიეროდ საშუალო და კარგ მოსავლიან ადგილებში გადასახადი რამოდენიმეთ იზრდებოდა, და ამრიგათ უზრუნველყოფილი იყო მისი სრულათ აკრეფა.

მაგრამ ეს ერთგვარათ მოუხერხებელი იყო. ამ სისტემის უარყოფითი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ გადამხდელმა სრულებით არ იცოდა, როგორ მოექცეოდენ მას შემდეგ წელში და არ შეეძლო თავისი მეურნეობის გადასახადის თანხასთან შეფარდება, რადგან არ იცოდა, რამდენათ შეეხებოდა მის გეგმებს გადასახადი.

ამიტომ მიმდინარე წელში ამ სისტემაში შეტანილია ზოგიერთი შესწორებები. ეს შესწორებები მდგომარეობს იმაში, რომ **უპირველეს ყოვლისა აღებულია 3 წლის საშუალო მოსავალი**; შემდეგ, აღებულია **ორი წლის ფასები შვიდი თვის განმავლობაში**—თვითეული წლის აგვისტოდან თებერვლამდი. ამრიგათ, ჩვენ საშუალება გვეძლევა უკვე ეხლავე, აპრილის უახლოეს დღეებში ანდა, შეიძლება, მაისის დასაწყისში—გამოვაცხადოთ გადასახადის ნორმები; **გადამხდელს კი საშუალება ეძლევა ეხლავე გაიგოს, რამდენის გადახდა მოუწევს მას.**

მაგრამ ეს წესიც მოუხერხებელია, რადგან დაზღვევას მოუსავლიანობის შემთხვევისათვის, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, ეხლა ველარავიზე [illegible] დავიტანთ. დაზღვევას ეხლა **კისრულობს სახელმწიფო ხაზინა** და მოუსავლიანობის შემთხვევაში, თუ ის საშუალოზე მეტი იქნება, მაშინ დასმული იქნება საკითხი იმის შესახებ, რომ **თვითეულ რაიონს მიეცეს შეღავათი.** ეს შეღავათი უნდა მიეცეს რაიონებს და ის უნდა გამოირიცხოს საერთო შემოსავლიდან.

2. ვამსუბუქებთ საქონლის დაბეგვრას.

გადასახადის მეორე თავისებური მხარეა—საქონლის დაბეგვრა. ეს ნაწილი განსაკუთრებით არაპოპულიარულია გლეხთა შორის. მე გავიცანი გლეხობისაგან მიღებულ მასალებს, ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსახილველათ გამოყოფილ თათბირების მასალებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ გამოკვლევას და სხვა მასალებს.

თურმე, ყველაზე უფრო არასასიამოვნო ადგილი გადასახადში—ეს საქონლის დაბეგვრაა. როგორც ვექცევით ჩვენ საქონელს? ჩვენ საქონელი გადაგვყავს სახნავს მიწაზე განსაზღვრული კოეფიციენტის მიხედვით. აქ კანონი საქონელს სთვლის ობიექტათ, რომელიც დამოუკიდებლათ, როგორც ასეთი, შემოსავალს აძლევს გლეხის მეურნეობას.

ეხლა უკვე ამ სისტემაში შეტანილია შესწორებები. ახალი კანონის მიხედვით, რომელიც ამ დღეებში იქნება გამოცემული, **საერთო კოეფიციენტი 0,76 შემცირებულია ერთი მესამედით და ჩვენ გვექნება 0,50.** შემდეგ დასაბეგრავ მსხვილფეხა საქონლის ჰასაკი **ერთნახევარ წლიდან გადიდებულია ორ წლამდი.**

3. საკითხი სათიბების შესახებ.

ეს საკითხი შესამჩნევად გამარტივდა. **მოხდა კოეფიციენტის შემცირება მთელს კავშირში 0,1-ით.** ამას გარდა, ციმბირში, ურალზე და ნაწილობრივ **კავკასიაში აღრიცხული იქნება მხოლოდ ნატურალური სათიბები.**

4. სახნავი მიწის გადაყვანა საქონელზე.

ახალი წესის მიხედვით, მესაქონლეობის რაიონებში მესაქონლეთა მეურნეობებში სახნავი მიწები გადაყვანილი უნდა იქნეს საქონელზე, თუ მას დამხმარე ხასიათი აქვს ამ ტიპის მეურნეობებში. **ეს საგრძნობლათ ამცირებს გადასახადების სიმძიმეს**, ზოგიერთ შემთხვევებში ორჯერ და სამჯერ წინანდელ სისტემასთან შედარებით.

5. სარეწავები.

შემოსავალი არა სამიწათმოქმედო სარეწავებიდან გლეხთა მეურნეობაში განსაზღვრულია 1.200 მილ. მანეთით. თუ გლეხთა მეურნეობის საერთო შემოსავალი ნაანგარიშევი იქნება 6 მილიარდ მანეთათ. ამ სარეწავების არდაბეგვრა შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელია აგრეთვე თვითეული მეურნეობის გამოკვლევა სარეწავების მხრივ, რადგან ამისათვის საჭიროა მეტათ რთული და დეტალური გამოკვლევა. როგორ ვიქცევით ჩვენ? ჩვენ ვიღებთ შემოსავალს სარეწავებიდან არა 1.200 მილიონის რაოდენობით, არამედ მხოლოდ 645 მილ. და ვბეგრავთ საერთოდ მთელ გლეხურ მეურნეობას, უმატებთ რა მის შემოსავალს სარეწავიდან გადასახადს 12 პროც. რაოდენობით.

გადასახადის აკრეფის უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადასახადების სწორათ აკრეფა. ვფიქრობ, რომ ამის მისაღწევათ სრულიად საკმარისი იქნება შემდეგი ღონისძიებები: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, რომლებიც სისწორით გათვალისწინებულია კანონში; ზომიერი ჯარიმა; აკრეფის მტკიცეთ ჩამოყალიბებული წესი. იმ შემთხვევაში, როდესაც იძულებული ვართ მივმართოთ გადამხდელის ქონების გაყიდვას, **ამ გაყიდვამ არავითარ შემთხვევაში გავლენა არ უნდა მოახდინოს მეურნეობის სიმთელეზე და დაცვაზე.** გადასახადი, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ ამ კანონის მიხედვით, არ არის გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, რადგან მხედველობაში მიღებულია მეურნეობის არა წმინდა შემოსავალი; გადასახადი არ არის ინდივიდუალური, არამედ მას განსაზღვრავს ნორმები, რომლებიც მუშავდება ცენტრში და რომელთა შემუშავების დროს ჩვენ შეცდომებს ჩავდივართ.

წამქეზებელი ზომები.

მაგრამ ჩვენ გვაქვს კანონის კიდევ ერთი თავისებურობა, რომელიც ართულებს ჩვენს მდგომარეობას. იმ ძირითად მიზანს გარდა, რომელსაც ისახავს კანონი, სახელდობრ—გადასახადის განსაზღვრული თანხის მიღება,—ჩვენ გვაქვს კიდევ მთელი რიგი სხვა მიზნებისა. შარშან, პურის დამზადების დროს, როცა ამ პურის დამზადება თავისი ტემპით ჩამორჩა განზრახულ გეგმას, ჩვენ დავაჩქარეთ გადასახადის აკრეფის საქმე. ჩვენ გადავწიეთ გადასახადის გასტუმრების ვადა და შევცვალეთ გადასახადის შეტანის პროცენტი. ჩვენ გვინდა ამ კანონის საშუალებით გავატაროთ კულტურული და ყოველგვარი წამქეზებელი ზომები. მე შედგენილი მაქვს სია ყველა წამქეზებელ ზომებისა, რომლებიც განხორციელებული იქნებიან მისი შემწეობით.

ყველაფერი ეს იმდენად ამძიმებს კანონს და აძნელებს მის გამოყენებას, რომ ის პირდაპირ ტვირთავს ჩვენს დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატს. ამიტომ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა პირველმა წამოაყენა საკითხი არსებული კანონის ახალით შეცვლის შესახებ.

პროექტი ახალი კანონისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

როგორც კი დაისვა ეს საკითხი, დაუყონებლივ წარმოდგენილ იქნა ორი ვარიანტი.

გადასახადი წმინდა შემოსავლიდან.

პირველ ვარიანტს სახეში აქვს ნამდვილი შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება, ე. ი. ისეთი გადასახადის, რომელიც გაწერილი იქნება წმინდა შემოსავალზე; მაგრამ ტეხნიკურ და სხვა გვარ დაბრკოლებათა გამო, პირველად არჩეული იქნება შემოსავლის მიხედვით გადასახადზე გადასასვლელი ფორმა. ამ წინადადების თანახმად (გარდამავალ ხანაში), მეურნეობის შემოსავალი განისაზღვრება არა მარტო მთავარი წყაროებით (ცხადია, მსხვილფეხა საქონელით) არამედ აგრეთვე მეორეხარისხოვან საშემოსავლო წყაროებითაც, როგორიც არის მეცხვარეობა, მეღორეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა და სხვ. ეს შემოსავალი განისაზღვრება ნორმალური წესით, გამონგარიშებული იქნება ცენტრში, ხო-

ლო ნორმების განსაზღვრა ხდება გუბერნიებში: შემოსავლის საერთო ჯამს აკლდება თანხა შეღავათის სახით და იბეგრება მხოლოდ შეღავათის გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა. წესდება დაუბეგრავი მინიმუმი და ყველა შემოსავლის ჯამი გამოანგარიშებული იქნება ფულით. (გამოირიცხება კოეფიციენტები საქონლის სახნავ მიწაზე გადაყვანის დროს).

მიწის რენტის დაბეგვრა.

მეორე ვარიანტი, რომელიც იქნება წარმოდგენილი, მოითხოვს მიწის რენტის დაბეგვრას. ამ ვარიანტს სახეში აქვს იმ შემოსავლის დაბეგვრა, რომელიც არ არის დამოკიდებული მეურნის შრომაზე და რომელიც განისაზღვრება ნიადაგის ნაყოფიერების განსხვავებით და გასაღებულ ბაზრების სიახლოვით. რამდენადაც მიმზიდველი არ უნდა იყოს ჩემი თვალსაზრისით ეს სარეწაო გადასახადი, საკითხი მაინც იმდენად სერიოზულია, რომ შეცდომა იქნებოდა მისი სიჩქარით გადაჭრა, 1925—26 წლის ბიუჯეტში შეტანა.

სწორედ ასე იყო საკითხი დასმული და დადგენილ იქნა, რომ მომავალ წლამდე ძალაში დარჩეს ის კანონი, რომელიც ჩვენ გვქონდა გასულ 1924—25 წელს, მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებებით. სწორედ ასეა დასმული საკითხი რეზოლიუციაში, სადაც ცეკას ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ პირდაპირი დაბეგვრის გაუმჯობესების საკითხი დასმული იქნეს განსახილველად პარტიულ ყრილობაზე.

კამათი და ამხ. ციურუპას საბოლოო სიტყვა

ამხ. ციურუპას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მარკიტანმა, ჩუცკაევმა, კუკლინმა და სხვ.

საბოლოო სიტყვაში ციურუპა აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. **ჩვენ არ შეგვიძლია გადასახადის რაოდენობის კიდევ მეტად შემცირება, რადგან უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანდათან იზრდება ხარჯები კულტურულ მოთხოვნილებებზე და უმთავრესად მრეწველობაზე.**

შემდეგ ციურუპა ლაპარაკობს ცვლილებებზე, რომლებიც შეტანილია კანონში გადასახადის შესახებ. შეტანილია გაუმჯობესება საქონლის და სათიბის სახნავ მიწაზე გადაყვანაში; პროდუქცია განისაზღვრება 3 წლის საშუალო რაოდენობით, ფასები—2 წლის საშუალო რაოდენობით. შეტანილია შესწორებები, რომლებიც შეეხება გადასახადის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკას.

ჩერდება რა ვადის საკითხზე, ციურუპა აღნიშნავს, რომ ახალი კანონი იძლევა უფრო ხანგრძლივ ვადას, ვიდრე ის კანონები, რომლებიც არსებობდენ წინად; ადგილებს საშუალება ეძლევათ ცენტრის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში დააწესონ ვადა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით—მტკიცედ მთელი წლისათვის, შეუცვლელად.

ციურუპას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც შეტანილია შესწორება იმის შესახებ, რომ შეღავათები დაწესებული და განაღდებული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფაქტიურ აკრეფამდე.

კოოპერაციის შესახებ

ამხ. რიკოვის მოხსენება

28 აპრილს დილის სხდომაზე კოოპერაციის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. რიკოვი, რომელმაც დაახასიათა ჩვენი სახალხო მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობა.

ჩვენი მეურნეობა.

მრეწველობის სფეროში ეხლანდელ მდგომარეობა ხასიათდება მრეწველობის ყველა **დარგების სწრაფი განვითარებით.** შედეგები, რომლებსაც მიაღწია მრეწველობამ წარსულ წელში, ჩვენს წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს. ბურჟუაზიისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ფაბრიკების და ქარხნების ეხლანდელი მოწყობილობა საშუალებას არ იძლევა გავაფართოვოთ წარმოება იმდენად რომ სრულად დავაკმაყოფილოთ შინაური ბაზრის მოთხოვნილებები. **ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ ფაბრიკების და ქარხნების მოწყობილობის გაუმჯობესებას.** ამისათვის საჭირო იქნება ახალი, უფრო მნიშვნელოვანი ხარჯები. რომ მივიღოთ საჭირო თანხები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის, საჭიროა რომ ჩვენი მეურნეობა ეხლავე შეუდგეს კაპიტალის დაგროვებას, რომელიც ჩქარის ტემპით უნდა მიდიოდეს.

ეხლანდელი სოფელი.

გადავიდა რა ეხლანდელი სოფლის დახასიათებაზე, რიკოვმა აღნიშნა, რომ თანამედროვე სოფელი ხასიათდება—ერთის მხრივ, სოფლის მეურნეობის **საერთო ზრდით,** და მეორეს მხრივ—გლეხობის **ფენებათ დანაწილებით.** სოფლის შეძლებული ფენების გაძლიერებასთან ერთად შემჩნეულია სოფლის ღარიბი ფენების ერთგვარი პროლეტარიზაცია. სოფლად ამ ჟამად მოიპოვება მნიშვნელოვანი რაოდენობა თავისუფალი მუშა ხელისა, რომლებიც გამოუყენებული არ არიან გლეხთა მეურნეობაში. ამის გამო გლეხობის შეძლებული ნაწილი ერთის მხრივ—ღარიბ უქონო და უინვენტარო ელემენტებს იყენებს მოჯამაგირეების სახით, მეორეს მხრივ კი—იჯარით იღებს მათ მიწებს მეტად დაკლებულ ფასებში. მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის ერთგვარი გაძლიერება სოფლად ეხლა, მრეწველობის ნორმალური ზრდის პირობებში, საშიში არ არის არც პარტიისა და არც საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

კოოპერაციის მნიშვნელობა სოფლად.

კოოპერაციამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს სოფლად და **უნდა შეასუსტოს გაძლიერებული კაპიტალისტური ურთიერთობის გავლენა.** პარტიამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ კაპიტალის დაგროვება, რომელიც ხდება, წავიდეს არა კაპიტალისტური კალაპოტით, არამედ **სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული კალაპოტით. ამასთანავე კოოპერაცია დახურული არ უნდა იქნეს სოფლის შეძლებული ელემენტებისათვის.** პირიქით: **კოოპერაციამ უნდა დაიპყროს მთელი გლეხობა.** მაგრამ ამასთან ერთად პარტიამ უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ მთავარი როლი კოოპერაციაში ითამაშონ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, და არა კულაკურმა ელემენტებმა. ჩვენი კოოპერატიული პოლიტიკა ჩვენ ისე უნდა გავატაროთ, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა იგრძნონ, რომ საბჭოთა ხელისუფლება—მათი ხელისუფლებაა.

როგორ ჩავაბათ სოფლის მოსახლეობა კოოპერაციაში.

როგორ უნდა მიუდგეს პარტია სოფლის მოსახლეობის ჩაბმას კოოპერაციაში? ამ კითხვაზე რიკოვი ასე უპასუხებს:

მთავარი ყურადღება უნდა ექცეოდეს გლეხობის **შეკავშირებას სოფლის და ქალაქის კავშირის განმტკიცების ნიადაგზე.** სახელმწიფო კოოპერაციის საშუალებით უნდა ახდენდეს გავლენას ყველა იმ სამეურნეო პროცესებზე, რომელთაც ადგილი აქვთ სოფლად. რასაკვირველია, საგლეხო მეურნეობის **კოლექტივიზაციის** საკითხები წინანდებურად უნდა იპყრობდეს პარტიის ყურადღებას. საბჭოთა ხელისუფლება წინანდებურად და კიდევ უფრო მეტად უნდა უწევდეს დახმარებას კოლექტიურ მეურნეობებს. აუცილებლად უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხები **თვითვე გრძნობდნენ** საგლეხო მეურნეობის განსაზოგადოებრიობის მთელს სარგებლობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი განსაზოგადოებრივობა უნაყოფო იქნება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გაუმჯობესების გარეშე. **ერთი ტრაქტორი გაცილებით უფრო მეტს გააკეთებს სოფლად,** ვიდრე ასობით აგიტატორები, რომლებიც ქადაგებენ საგლეხო მეურნეობის განსაზოგადოებრივობას.

ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა შეადგენს ქვეყნის მთელი სავაჭრო ბრუნვის 25—30 პროცენტს. მხოლოდ სავაჭრო ბრუნვაში კოოპერაციის ასეთი ფართო მონაწილეობის შემწეობით ჩვენ ვახერხებდით საქონლის ფასების მოწესრიგებას. სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რიცხვი უკვე 8 მილიონ კაცამდე აღწევს.

მთლიანი კოოპერატივი.

სხვადასხვა აზრი არსებობდა იმას შესახებ, თუ, როგორი ფორმები უნდა მიიღოს კოოპერატიულმა აღმშენებლობამ სოფლად. მაგრამ ამჟამად პარტია ერთხმად მოითხოვს კოოპერატიულ აღმშენებლობის ფორმად **მთლიან კოოპერატივს,** რომელიც **აერთიანებს როგორც საკრედიტო ფუნქციებს, ისე საშუამავლო ოპერაციებს გასაღების და მომარაგების საქმეში.**

მაგრამ საჭიროა **გამოყოფილი იქნეს ერთი-მეორისაგან სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ფუნქციები.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არ უნდა ეწეოდეს მოსახლეობის მომარაგებას პირადი მოთხოვნილების საგნებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გლეხებს შევცეთ იმის გარანტია, რომ მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის გადაცემული თანხები უზრუნველყოფილი იქნება დაკარგვისაგან სხვადასხვა ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაცია.

მთლიანი კოოპერატიული ქსელი საკრედიტო ხაზით ემორჩილება სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ხოლო დანარჩენ ფუნქციებში ის ემორჩილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საერთო ცენტრებს.

ყველა სახის კოოპერაციების ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ დღემდი **ვერ შესძლეს თავისი მუშაობის შეფარდება მათ განკარგულებაში არსებულ საშუალებებთან.** ამან გამოიწვია კოოპერაციის კრიზისი მრავალ რაიონებში, კოოპერაციის გასაჩივრებულ თამასუქების რიცხვი საგრძნობია. ამის გამო ჩვენი ამოცანაა—**განვამტკიცოთ კოოპერაციის არსებული ქსელი.**

სარეწაო კოოპერაცია.

ეხება რა საკითხს სარეწაო კოოპერაციის შემდეგი განვითარების შესახებ, რიკოვი აღნიშნავს, რომ სარეწაო კოოპერაცია ჩვენში ყოველთვის უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ჩვენი მრეწველობა შინამრეწველობას უცქეროდა, როგორც თავის მეტოქეს. სარეწაო კოოპერაციას არ ეძლეოდა დახმარება, მას არ ეხმარებოდენ საკუთარი წარმოებისათვის ნედლეულის და ნახევრად ფაბრიკატების მიწოდებაში. ასეთი მდგომარეობა სარეწაო კოოპერაციაში **უნდა შეიცვალოს.**

შინა-მრეწველობას ეხლა დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ერთის მხრივ, **ის საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს გლეხთა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სამუშაო არ აქვს სოფლის მეურნეობაში.** მეორეს მხრივ—ჩვენს ეხლანდელ მრეწველობას არ შეუძლია საქონლის საკმაო რაოდენობის გამოტანა ბაზარზე და **შინა-მრეწველობამ უნდა შეავსოს საქონლის ეს დანაკლისი.** შინამრეწველობამ სოფლად საგრძნობლად უნდა გააძლიეროს კაპიტალის დაგროვების პროცესი და ამით გააძლიეროს კაპიტალის დაგროვება მთელს ჩვენს მეურნეობაში. ჩვენ არა თუ უნდა გავაუმჯობესოთ შინამრეწველობის მუშაობის პირობები, არამედ შეძლებისდაგვარი **დახმარებაც უნდა გავუწიოთ მას.**

კოოპერაციამ ნდობა უნდა მოიხვეჭოს

საჭიროა, რომ კოოპერაციამ მოიხვეჭოს მასების, განსაკუთრებით გლეხთა მასების ნდობა. ამისათვის კოოპერაციამ უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, დაძლეულ უნდა იქნეს კოოპერაციის ყველა შინაგანი დაბრკოლებები, რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ **კოოპერაციის ამოცანები არ არის შეფარდებული მის საშუალებებთან, მტკიცე ვერ არის კოოპერაციის ორგანიზაციული ფორმები, აპარატი ვერ არის მოქნილი და ის ძვირია.**

კოოპერაცია ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს როგორც კოოპერატიული ორგანოების **არჩევის თავისუფლება,** ისე ამ ორგანოების **პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე. პარტიული და საბჭოთა ორგანოები ადგილებზე არ უნდა ჩაერიონ კოოპერატიულ მუშაობაში.**

ძალიან ცუდია აგრეთვე ის, რომ მრავალმა კომუნისტებმა აქამდი ვერ შეიგნეს კოოპერაციის მნიშვნელობა. კოოპერაციამ კი სოფლად ისეთივე როლი უნდა ითამაშოს, როგორც პროფკავშირებმა ქალაქში. პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა უპარტიო მუშებისათვის, ასევე კოოპერაციამაც უნდა შექმნას სოფლად „საბჭოთა გლეხები". **კოოპერაცია უნდა გახდეს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენათ სოფლად.**

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო

ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ჩერნოვმა, პიზდნიშევმა, მირზოიანმა, გოლოშჩეკინმა, პრონშტეინმა და სხვებმა.

ჩერნოვი ეხება საკითხს აქტიურ კოოპერატიულ მუშაობაში სოფლის მოსახლეობის ღარიბ ფენების ჩაბმის შესახებ და აღნიშნავს, რომ ჩაბმა უნდა ხდებოდეს არა ფორმალურად, არამედ იმ ნაირად, რომ ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციები სრული ნდობით ეპყრობოდნენ უპარტიოთა მუშაობას. ერთ-ერთ [illegible] მომენტად, რომელსაც შეუძლია გლეხთა ანაბარების მიზიდვა საკრედიტო კოოპერაციაში, ორატორს მიაჩნია ის, რომ მთავრობამ უნდა გამოყოს სპეციალური დასაზღვევი ფონდი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გლეხთა ანაბარები.

მირზოიანი აღნიშნავს სამომხმარებლო კოოპერაციის სისუსტეს მთელს საბჭოთა აღმოსავლეთში და ხაზს უსვამს კოოპერაციის თანხების სიმცირეს, კოოპერატიული ქსელის სუსტად განვითარებას და წევრების განუსაზღვრელ რაოდენობას. იმ პოზიციებს, რომლებიც თავის დროზე დიდის სიძნელით დაიპყრო კოოპერაციამ, ეხლა თანდათან იბრუნებს კერძო კაპიტალი, რაც გავლენას ახდენს ფართო მოთხოვნილების პროდუქტების და საგნების ფასებზე და ამცირებს რეალურ შრომის ხელფასს.

გოლოშჩეკინი ეხება საკითხს კულაკის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის შეცდომით გაგება როგორც „შეძლებული გლეხის", უარყოფით გავლენას ახდენს კოოპერაციის მუშაობაზე სოფლად. ორატორი მოითხოვს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით განსაზღვროს ეს ცნება, რაც საგრძნობლად გააადვილებს დაბალი საფეხურის კოოპერაციის მუშაობას.

ქარხანა „დინამო"-ს დელეგაცია

კამათი წყდება ქარხანა „დინამო"-ს მუშების დელეგაციის გამოსვლით. დელეგაცია **ესალმება კონფერენციას და უძღვნის მას მუშების მიერ დამზადებულ მაღალვოლტიან ტრანსფორმატორს.** ამით გათავდა 28 აპრილის დილის სხდომა.

კამათის გაგრძელება

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გამო. ილაპარაკეს ლიუბჩენკომ, ხინჩუკმა, კამინსკიმ, ლარინმა და სხვ.

ლიუბჩენკო აღნიშნავს, რომ რიკოვის თეზისებში სავსებით სწორად არის გადაჭრილი კოოპერაციის საკითხი და თუ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი სისწორით შეასრულებენ თეზისებში აღნიშნულ ფუნქციებს, ისინი უსათუოდ დაიმსახურებენ სრულ ნდობას გლეხების მხრივ.

ხინჩუკი ამბობს: „კოოპერაციაზე აღებული კურსი სავსებით გამართლდა. საჭიროა, რომ პარტია, დღიდან დღემდე უფრო მეტ ყურადღებას აქცევდეს კოოპერაციას და იცავდეს მას ადგილობრივ თვითნებობისაგან. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ნორმალურ პირობებში ჩავაყენებთ კოოპერაციას, როცა ის მჭიდროთ იქნება დაკავშირებული პარტიასთან და საბჭოთა ორგანოებთან,—ჩვენ თავისუფლად განვახორციელებთ ლოზუნგს—„პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ".

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში რიკოვი დაწვრილებით ჩერდება კამათის დროს აღძრულ საკითხებზე და აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა პირველ რიგში აყენებს ჩვენს წინაშე ამოცანას—**ჩავაბათ სოფლის კოოპერაციაში გლეხთა მოსახლეობის ფართო წრეები.** მაგრამ ცეკას მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაში არის ერთი დიდი შეცდომა იმ მხრივ, რომ **აშკარა კულაკს არ შეუძლია იყოს გამგეობის წევრი კოოპერატივებში.** ყოველი სახის კოოპერაციაში ეს საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაიჭრეს. თავისთავად ცხადია, რომ საკრედიტო კოოპერატივის გამგეობაში **შეუძლებელია მევახშის შეყვანა,** სამომხმარებლო კოოპერაციაში—მედუქნის, სარეწაო კოოპერაციაში—**შინამრეწველობის ნაწარმოებთა შემსყიდველის.** უმთავრესად რეზოლიუცია გამოდის სოფლის საწარმოო ძალების განვითარების აუცილებლობიდან და წინადადებას აძლევს კოოპერაციას **ხელი შეუწყოს ქონების დაგროვების პროცესს გლეხებ შორის.**

რიკოვი აღნიშნავს, რომ გამოსულ ორატორებს შორის არც ერთი არ შეეხებია სარეწაო კოოპერაციის საკითხს. „ამ საკითხისადმი ინტერესის უქონლობა—ამბობს რიკოვი—ძალიან სახიფათოა". რიკოვს მოჰყავს ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ მთელ რიგ რაიონებში, სადაც შინამრეწველობა შეადგენდა მოსახლეობის მთავარ შემოსავალს, შინამრეწველობას ეხლა მისდევს წინანდელი რაოდენობის მხოლოდ 2 პროცენტი.

ეს ამტკიცებს მოსახლეობის მეტისმეტ გაღატაკებას და უმუშევართა დიდი არმიის შექმნას. რიკოვი აღნიშნავს შემცდარ პოლიტიკას მთელ რიგ პროფკავშირებისა, რომლებმაც გამორიცხეს შინამრეწველები, როგორც არამშრომელი ელემენტი. შინამრეწველები, რომლებიც წლობით მუშაობენ თავის საქმეზე, იმ გლეხებზე უფრო ჩამორჩენილი არ არიან მუშათა კლასისაგან, რომლებიც სარეწაოებზე მუშაობენ და პროფკავშირების წევრებად ითვლებიან. პროფკავშირების ასეთ პოლიტიკას შეუძლია ისეთი პირობები შექმნას, როდესაც შეუძლებელი იქნება არტელების მოწყობა.

რიკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კონფერენციამ ერთხმად საფუძვლად მიიღო ამხ. რიკოვის პროექტი რეზოლიუციისა კოოპერაციის შესახებ. არჩეული იქნა კომისია მის საბოლოოდ დასამუშავებლად.

29 აპრილის დილის სხდომა გაიხსნება ძერჟინსკის მოხსენებით მრეწველობის შესახებ.

სალამი საქართველოს გლეხთა კომიტეტების პირველ ყრილობას!

„ქართველი გლეხის მეხსიერებაში **1925 წლის—30 აპრილის თარიღი** მუდამ წაუშლელი უნდა დარჩეს. დღეს, 30 აპრილს, საქართველოს მუშების და გლეხების რესპუბლიკის დედა ქალაქში **თბილისში** პირველად გაიხსნება ყრილობა, რომლის მთავარი მიზანი და დანიშნულება იქნება რესპუბლიკის გლეხკაცობა გააერთიანოს **ერთ საკუთარ ძმურ ოჯახში.**

თბილისს ბევრი **კონფერენციები** მოუწყვია, უნახავს ბევრი ყრილობები: საბჭოების, პარტიული, პროფესიონალური, განათლების, მიწატყის, ჯანმრთელობის, ინჟენერების, ტეხნიკოსების, მეცნიერების, მწერლების და სხვადასხვა დარგში მომუშავე პირების, მაგრამ ისეთი ყრილობები, რომლებზედაც **მარტო გლეხების** წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, **თბილისს არ ახსოვს.** ასეთი ყრილობა პირველად თბილისში მარტო დღეს გაიხსნება. საქართველოს გლეხების და მუშების მთავრობის დადგენილებით ერთ საზოგადობაში—ორგანიზაციაში გლეხების დარაზმვა საქართველოში პირველად **სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაეკისრა შესასრულებლად.**

კომისარიატმა საურთიერთო გლეხთა დამხმარე საზოგადოების (**გლეხკომების**) მოწყობა ჩვენში დაახლოვებით 2 წლის წინად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ის გლეხკომების საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მოკლებული იყო საჭირო საშუალებებს მან მაინც შესძლო სულ მოკლე დროში თვით გლეხების ფართო მასსის თანაგრძნობით და დახმარებით მოეწყო საქართველოს ყველა სოფელში, თემში და მაზრაში საურთიერთო გლეხთა დამხმარე საზოგადოებები. დღეს-კი, 30 აპრილს, გლეხკომების წვრილი ერთეულების ყველა ძაფები ამ ყრილობაზე ერთმანეთზე **გადაიბმება-გადაინასკვება,** და ამიერიდან გლეხებს ექნებათ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ერთი ისეთი **მძლავრი საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაცია,** რომელიც შესძლებს გლეხის კარზე მომდგარ ყოველგვარ გასაჭირს იოლად გაუმკლავდეს.

გულწრფელი, ამხანაგური და ძმური **ჩვენი სალამი** საურთიერთო გლეხთა დამხმარე საზოგადოებათა პირველ ყრილობას! **სალამი ყრილობის გლეხ-დელეგატებს!** სალამი და ჩვენი მადლობა ყველა იმ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რედაქციებს და პირებს, რომელთაც რითაც შეეძლოთ ხელი შეგვიწყვეს ჩვენ გლეხკომების მოწყობის საქმეში.

გაუმარჯოს ბატონის მათრახიდან და თვითმპყრობელობის კლანჭებიდან საბოლოოთ განთავისუფლებულ **ქართველ გლეხებს,** რომლებიც დღეს თავისუფლად იკრიბებიან თბილისში თავის პირ-ვარამზე თავისუფალი აზრის გამოსათქმელად.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარი და გლეხკომების დროებითი ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ც. ხომერიკი.**

გლეხკომების ყრილობისათვის

(მორიგი ამოცანების შესახებ)

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს გლეხთა ურთი ერთ დამხმარე კომიტეტების პირველი ყრილობა. მთავარი საკითხი, რომელიც დასმულია ყრილობის დღის წესრიგში, არის გლეხკომების მორიგი ამოცანები. ამ წერილში ჩვენ შევეხებით ამ საკითხის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ერთი შეცდომა, რომელსაც ადგილი აქვს გლეხკომების მუშაობაში. საქმე იმაშია, რომ გლეხკომების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ერთი ჩვეულებისაგან, რომელსაც მოწყალების გაცემა, ანუ ქველმოქმედება ეწოდება. გლეხკომი არის ორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთი ერთ დახმარების პრინციპი. წევრთა თვითმოქმედება, მათი მონაწილეობა და ჩაბმა ურთი ერთ დახმარების საქმეში, აი ის, რაც ანსხვავებს გლეხკომს საქველმოქმედო ხასიათის ორგანიზაციისაგან. თუ გლეხკომმა ხელი მიჰყო ქველმოქმედებას, თუ მან „პენსიონერები" გაიჩინა, ის გადაიქცევა „სობესად". ამ შემთხვევაში იგი აღარ იქნება საურთიერთო დახმარების საზოგადოება. გლეხკომმა „პენსიონერთა" რიცხვი კი არ უნდა გაამრავლოს, არამედ უნდა ეცადოს, რომ მათი რიცხვი რაც შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს. ჩვენ აქ არას ვამბობთ ისეთ პირებზე, რომლებსაც სავსებით დაკარგული აქვთ შრომის უნარი,—ასეთებს გლეხკომმა შეძლებისა და გვარად ხელი უნდა გაუმართოს, მაგრამ ის პირები, რომელთაც შეუძლიათ შრომა, რა გინდ გაჭირვებასაც არ უნდა განიცდიდენ ისინი, ვალდებულნი არიან განსაზღვრულ ვადაში აანაზღაურონ, ამა თუ იმ სახით (ფულით მიღებული დახმარება, მაგ., პირადი მუშაობით ან სხვა რითიმე) ის დახმარება, რომელიც მიიღეს მათ გლეხთა კომიტეტისაგან. რაც შეეხება შრომისა და ომის ინვალიდებს, რომელთაც ნაწილობრივ მაინც აქვთ შერჩენილი შრომის უნარი, ისინი გლეხკომმა უნდა ჩააბას არტელებში თავის საწარმოო დაწესებულებებში, ან სხვა რაიმე მუშაობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაამართლოს გლეხკომმა თავისი დანიშნულება და სახელწოდება.

მეორე საკითხი, რომელსაც ჩვენ გვინდა მივაქციოთ გლეხკომებში მომუშავე ამხანაგების ყურადღება არის შემდეგი: თითქმის ყველა გლეხკომები უწევენ დახმარებას ამა თუ იმ სახით იმ გლეხთა ოჯახებს, რომლებიც დაზარალდებიან სხვადასხვა ბუნებრივ და სოციალურ ხასიათის უბედურებისაგან (წყალდიდობისაგან, შიმშილობისაგან, ჭლექისა და მალიარიისაგან და სხვ.). მაგრამ გლეხკომის მუშაობა არა ნაყოფიერი იქნება და მიზანს ვერ მიაღწევს, თუ იგი დაკმაყოფილდა უბედურების შედეგებთან და არა მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლით. მართლაც და, გლეხკომი „შორს ვერ წავა", თუ მან აწარმოვა ბრძოლა უბედურების შედეგებთან და ხელუხლებელი დასტოვა ამ უბედურების ფესვები, წყარო. ვსთქვათ, გლეხკომი ერთხელ დაეხმარა გლეხს, რომლის ყანები დააზარალა გვალვამ. ცხადია, თუ გლეხკომმა მთელი გლეხობის დახმარებითა და მონაწილეობით წინასწარ არ მიიღო ზომები გვალვის საშიშროების წინააღმდეგ, იგივე გლეხი კვლავ მოითხოვს მისგან შემწეობას. ან კიდევ ავიღოთ ისეთი შემთხვევა, როცა გლეხკომმა აღმოუჩინა დახმარება ოჯახის ერთ-ერთ მარჩენალ გლეხს, რომელიც დასჭრეს ქორწილში ან ნათლობაში—ქეიფობის დროს, აშკარაა, თუ გლეხკომმა არ გასწია აგიტაცია ხსენებულ ზნეჩვეულებების მოსასპობად, მას კვლავაც დასჭირდება შემწეობის მიცემა ქორწილში და ნათლობაში დაჭრილ-დასახიჩრებულ გლეხებისათვის და მათი ოჯახებისათვის. ერთი სიტყვით, გლეხკომმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს გაჭირვებისა და უბედურების გამომწვევ მიზეზების აღმოფხვრას.

მესამე ჩვენი შენიშვნა შეეხება გლეხკაცობის დაინტერესებას გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებით. თავისთავად ცხადია, რომ გლეხი იხდის საწევრო გადასახადს გლეხკომის სასარგებლოთ არა რაიმე ჰუმანიური მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ იგი გამოელის მისგან რაიმე რეალურ სარგებლობას. დაპირებით გლეხს ვერ გაიტაცებ, მომავლის ბედნიერებით მას ვერ დაანუგეშებ. თვითეული გლეხი უნდა დარწმუნდეს სინამდვილეში, რომ გლეხკომი დახმარებას უწევს გლეხობას არა მარტო მაშინ, როცა მას თავს ატყდება რაიმე სტიქიური უბედურება, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხკაცობა გულს აიცრუებს გლეხკომებზე. გლეხკომებში მომუშავე ამხანაგები დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან თვითეულ გლეხის სულ უბრალო, წვრილმან საჭიროებასაც კი, ვსთქვათ, გლეხს თხოვნა აქვს დასაწერი, გლეხკომი ვალდებულია დაუწეროს მას ის; გლეხი უკანონოდ დასჩაგრა ვინმემ, გლეხკომი მოვალეა დაუყოვნებლივ გამოესარჩლოს მას; გლეხს ავად გაუხდა ვინმე, გლეხკომმა უნდა აღმოუჩინოს მას საექიმო დახმარება; გლეხს ესაჭიროება სესხი! გლეხკომი მოვალეა აღუძრას მას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს და თუ საჭირო იქნება, თავდებადაც უნდა დაუდგეს. ერთი სიტყვით, გლეხკომმა საქმით უნდა დაანახოს გლეხს, რომ იგი ყოველ წუთში და ყოველ საქმეში მისი დამცველი და მოჭირნახულეა. თუ ამ გზით ივლიან გლეხკომები, მაშინ ისინი უეჭველია დიდ ნდობას დაიმსახურებენ გლეხების თვალში.

ორიოდე სიტყვა გლეხკომების ფონდების შესახებ. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ თუ გლეხკომს არ ექნა **ძლიერი ფონდი,** ისე მისი არსებობა შეუძლებელია. ეს მოსაზრება არ არის სწორი. გლეხკომის არსებობა სრულიად არ არის დამოკიდებული **ძლიერ ფონდზე.** ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ფონდის შექმნა საჭირო არ არის,—არა, ფონდი საჭიროა, მაგრამ იქ სადაც **ძლიერი ფონდის** შექმნა არ ხერხდება, საჭიროა მუშაობა გაძლიერებულ იქნეს სხვა დარგში, სხვა სფეროში. მაგ., ამ შემთხვევაში გლეხკომმა ჯეროვან სიმაღლეზე უნდა დააყენოს შრომითი ურთი-ერთ დახმარების საქმე, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა (ბრძოლა ლოთობის, ცრუმორწმუნეობის, წერა-კითხვის უცოდინარობის და სხვ. წინააღმდეგ), კოოპერატიული მშენებლობის, საფონდო მიწების დამუშავების, წევრთა უფლებრივი დახმარების და სხვ. საქმე.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და დღესაც იწვევს ის გარემოება, რომ გლეხკომებმა ხელი მოკიდეს სავაჭრო საქმიანობას. ჩვენის აზრით, გლეხკომების ვაჭრობამ არამც თუ ვნება არ მიაყენა, არამედ დიდი სარგებლობა მოუტანა როგორც საბჭოთა ხელისუფლებას, ისე გლეხკაცობას მაშინ, როცა „მაკრატლის" საკითხი მეტად მწვავეთ იდგა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ დროს კოოპერაციას არ ქონდა საშუალება დაეკმაყოფილებია დამშეული გლეხკაცობა. ამიტომ გლეხკომებმა სტიქიურათ აიღეს ხელში კოოპერაციის ფუნქციები. ისინი [illegible] გლეხებს ქალაქის საქონელს და [illegible] სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებს გლეხებისათვის ხელსაყრელ პირობებში. გლეხკომები გაცილებით იაფათ აწვდიდენ საქონელს გლეხკაცობას, ვიდრე კოოპერაცია, ვინაიდან მათ მცირე საორგანიზაციო ხარჯები ქონდათ. რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, რომ გლეხკომებს ამ ხანებში არ ეწარმოებიათ გაცვლა-გამოცვლა სოფლის გლეხკაცობასთან? მოხდებოდა ის, რომ გლეხკომების ადგილს დაიჭერდენ ჩარჩები და სპეკულიანტები, რომლებიც ტყავს გააძრობდნენ გლეხკაცობას. გლეხკომებმა თავისი ვაჭრობით ხელი შეუწყვეს პროლეტარიატის და გლეხკაცობის შორის კავშირის განმტკიცების საქმეს. სწორეთ ამიტომ ჩვენი წითელი კოოპერაცია კი არ უნდა ემდუროდეს, არამედ უნდა ემადლიერებოდეს გლეხკომებს აღნიშნულ მუშაობისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის. ამჟამად კი, როცა „მაკრატლის" საკითხი მოხსნილია დღის წესრიგიდან, ვაჭრობის წარმოება გლეხკომების მხრით არ არის მიზანშეწონილი. გლეხკომებმა სავსებით უნდა აიღონ ხელი ვაჭრობაზე და დაეხმარონ კოოპერაციის გამაგრების საქმეს.

თავის თავად ცხადია, რომ გლეხკომების მუშაობაში ადგილი აქვს შეცდომებს და ნაკლულევანებებს. ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საქართველოში დაახლოვებით 1800 გლეხკომი და ამ ვეებერთელა გლეხური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ადვილი საქმე არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში განსაკუთრებით იმას, რომ ადგილებზე მომზადებული პირები თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება. უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხთა კომიტეტების სამაზრო ორგანოებშიაც მრავლად მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც სრულიად ყალბი წარმოდგენა აქვთ გლეხკომების შესახებ. ცხადია, რომ მათი „ხელმძღვანელობა" მხოლოდ ზიანს მოუტანს საქმეს. გლეხკომების ძირითადი უჯრედები კი სულ დაცლილია მომზადებულ პირებისაგან. ამ გარემოებას ამ თავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. გლეხკომების ხელმძღვანელთა მომზადება—ეს ჩვენი მორიგი და გადაუდებელია ამოცანა. დაყოვნება ამ საქმეში ნიშნავს გლეხკომების დანგრევას.

პარალელურათ საჭიროა ერთხელ კიდევ ჩატარდეს კამპანია გლეხკომების იდეის საპოპულიარიზაციოდ. განსაკუთრებით ეს საჭიროა სოფლებში და თემებში. პირველი კამპანია ჩატარდა მაშინ, როცა არ გვქონდა გარკვეული, ჩამოყალიბებული დებულება გლეხკომების შესახებ. თვით იმ პირებს (სოც. უზ. რწმუნებულები და სხვა.), რომლებიც ატარებდნენ ამ კამპანიას, უეჭველია არ ჰქონდათ ნათელი და სრული წარმოდგენა გლეხკომებზე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ზოგიერთი გლეხკომის წევრი გლეხკომის დანიშნულებას ხედავს ვაჭრობაში, ამ გვარად ჩვენ უკვე მოგვეპოვება დებულება გლეხთა კომიტეტების შესახებ. საჭიროა ამ დებულების ფართოდ გაცნობა საქართველოს გლეხობისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სრულიად საქართველოს გლეხკომების პირველი ყრილობა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის გლეხკომების გაჯანსაღების და განმტკიცების საქმეს.

მ—ანი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

შვეცია

რუსეთ-შვეციის საზოგადოება

სტოკჰოლმი, 28 აპრილი. 27 აპრილს შესდგა რუსეთ-შვეციის საზოგადოების წლიური კრება. შვეციასა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო მეტი დაახლოვებისა და ურთიერთობის გაფართოების მიზნით, საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლები შეცვლილია.

იაპონია

ამხ. კოპპი ტოკიოში

ტოკიო, 28 აპრილი. ალბათ ამ კვირაში საბჭოთა კავშირის ელჩი კოპპი თავის რწმუნების სიგელებს გადასცემს პრინც-რეგენტს.

ბულგარეთის ამბები

ფაშისტური „სამართალი"

ვენა, 28 აპრილი. იმ პირთა გასამართლება, რომელთაც სოფიაში სამხედრო ტაძრის აფეთქება ბრალდებათ, დაიწყება ალბათ პირველ მაისს სოფიის სამხედრო სასამართლოში.

სოფიაში და პროვინციაში გრძელდება მუშებისა და გლეხების დაპატიმრება.

მრავალი დაპატიმრებული ვითომ და „გაქცევის ცდისათვის" ან „შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის" გაუსამართლებლად დახვრიტეს.

ყაჩაღი ყაჩაღს უჭერს მხარს

ვენა, 28 აპრილი. რუმინეთის პრესა კვლავ აცხადებს, რომ სავსებით იწონებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ცანკოვის მთავრობამ მიიღო. პრესა აღნიშნავს, რომ რუმინეთს არა აქვს არავითარი საფუძველი გაილაშქროს „ბოლშევიკურ საფრთხესთან" ბრძოლის იმ საშუალებების წინააღმდეგ, რომელთაც ბულგარეთში მიმართავენ.

მსხვილი კაპიტალისტური წრეების ორგანო „დიმინეტა" აღნიშნავს, რომ რუმინეთმა შუამავლის როლი ითამაშა ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მოგვარებაში.

მილიტარისტული წრეების ორგანო „უნივერსალ" იუწყება, რომ რუმინეთის მთავრობამ ბულგარეთის მთავრობის თხოვნით შეაჩერა დობრუჯის დასახლება მაკედონელ რუმინელებით, ვინაიდან ბულგარეთს არ შეუძლია ახლა მიიღოს ის ბულგარელები, რომლებიც დობრუჯაში რუმინელების ჩასახლების გამო იძულებული იქნებიან ბულგარეთში გადასახლდენ.

ბულგარეთი და სამხრეთ-სლავია

ვენა, 28 აპრილი. ბულგარეთის ელჩმა ბელგრადში ცაკერელსკიმ მწუხარება გამოსთქვა სამხრეთ-სლავიის მთავრობის წინაშე იმ გაუგებრობის გამო, რომელიც ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის რუსევის და საგარეო საქმეთა მინისტრის კალფოვის განცხადებებმა გამოიწვიეს.

ბულგარეთის გლეხთა პარტიის ბელადებმა სტოიანოვმა და ატანასოვმა, რომლებიც სამხრეთ-სლავიაში გაიქცნენ, სამხრეთ-სლავიის მთავრობას პროტესტი განუცხადეს ბულგარეთის ემიგრანტების შორეულ რაიონებში გადაყვანის გამო.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ამ პროტესტის საპასუხოთ განაცხადა, რომ ამ დადგენილების შეცვლა არ შეიძლება, ვინაიდან სამხრეთ-სლავიას არ შეუძლია დაუშვას თავის ტერიტორიაზე რაიმე გამოსვლა ბულგარეთის წინააღმდეგ.

ამხ. სტრაკოვის გარდაცვალების გამ

ბერლინი, 28 აპრილი. 28 აპრილს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბინაზე, სადაც ასვენია ამხ სტარკოვის ნეშტი, გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში გრაფი ბროკდორფ-რანცაუ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სავაჭრო წრეების წარმომადგენლები.

პრესა აღნიშნავს განსვენებულის დამსახურებას გერმანია-საბჭოთა კავშირის შორის ეკონომიური ურთიერთობის საქმეში.

29 აპრილს ამხ. სტარკოვის ნეშტს დასწვავენ.

რუმინელ კომუნისტების პროცესი

ვენა, 28 აპრილი. ბუქარესტში დაიწყო 70 კომუნისტის გასამართლება; მათ რიცხვში არიან რუმინეთის კომპარტიის ც. კ. წევრები: ხრისტესკუ, პაუკერ, დობროჯიანუ, ფაბიანი, ივანუშ, მარიან სტეფანოვ და კებლერ. ორი უკანასკნელი გაიქცა და მათ დაუსწრებლად ასამართლებენ. პროცესის მიზანია—რუმინეთის კომპარტიის დაყენება კანონს გარეთ და კომუნისტური მოძრაობის საბოლოოთ მოსპობა.

მთავარი ბრალდება დამყარებულია იმ პოზიციაზე, რომელიც რუმინეთის კომპარტიამ დაიკავა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს ვენაში, როცა რუმინეთის კომპარტია მოითხოვდა სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას ბესარაბიისათვის, თვით რუმინეთისაგან ჩამოშორებამდი.

ბრალდებულთა ნაწილს ბრალად ედება კომპარტიის მოწოდებების შედგენა და გავრცელება, „შეთქმულება სახელმწიფო ძალაუფლების წინააღმდეგ" და სხვ.

არჩევნები გერმანიაში და ამერიკა

ნიუ-იორკი, 28 აპრ. ფინანსიურ წრეებში სთვლიან, რომ გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხი გადაიდება მანამდი, სანამ არ გამოირკვევა ჰინდენბურგის პოზიცია. მაგრამ ეს ფინანსიური წრეები სცდილობენ გააქარწყლონ ის შიში, რომელიც ჰინდენბურგის არჩევამ გამოიწვია. ამისათვის ისინი ჰინდენბურგის არჩევას ასაღებენ, როგორც ბოლშევიზმის დამარცხებას და არა როგორც მილიტარიზმის გამარჯვებას.

ფინანსთა მინისტრმა მელლონმა განაცხადა, რომ ჰინდენბურგის არჩევა მომასწავებელია კონსერვატიზმის სიმტკიცისა გერმანიაში და მის შეტევას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მელლონის სიტყვით უზრუნველყოფს იმათ ინტერესებს, ვინც კაპიტალს ათავსებს გერმანიაში.

გერმანიის ელჩმა ამერიკაში მალცანმა თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ნიუ-იორკში, დაამშვიდა ამერიკის საზოგადოებრივი აზრი და განაცხადა, რომ გერმანია შეასრულებს თავის ვალდებულებებსო.

ესალმებიან პროფმოძრაობის მთლიანობას

ლონდონი, 28 აპრილი. პროფკავშირების ადგილობრივ საბჭოების კონფერენციამ, რომელიც მოწვეულია ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის ულოცავს გენერალურ საბჭოს პროფმოძრაობის მთლიანობის მიღწევას და მოითხოვს მუშების [illegible] ამ მხრივ.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კრასინი ბრიანთან

პარიზი, 28 აპრილი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრასინი მიიღო საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა.

ამხ. კამენევა პარიზში

პარიზი, 28 აპრილი. 27 აპრილს პარიზში კამენევამ წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის კულტურული აღმშენებლობის შესახებ. მოხსენებამ მიიზიდა დიდძალი ხალხი. დაესწრნენ მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის წარმომადგენლები, მათ შორის: პროფესორი ბაში, შარლ ჟიდი, ლანჟევენი, მწერლები და ლიტერატურის კრიტიკოსები—შარლ ვილდრაკ, ლეონ ბაზალჟეტ, სუდო, ვოლდემარ ჟორჟ, ხუროთმოძღვარი პერენი, მუსიკოსი ჟორჟ ორიკ და მთელი რიგი ფრანგ და რუს მხატვრებისა.

გერმანიის კაბინეტი არ გადადგება

ბერლინი, 28 აპრილი. გერმანიის კაბინეტმა, განიხილა რა პოლიტიკური მდგომარეობა, ერთხმად აღიარა, რომ ის არ უნდა გადადგეს ახალი პრეზიდენტის არჩევის გამო, რადგან ამისათვის არ არის არავითარი კონსტიტუციონური საფუძველი.

შტრეზემანმა, რომელიც ავადმყოფობის გამო არ დასწრებია კაბინეტის სხდომას, განაცხადა, რომ ისიც უერთდება მიღებულ გადაწყვეტილებას.

საერთაშორისო პროლეტარიატის პროტესტი

ბერლინი, 28 აპრილი. საფრანგეთის, ინგლისის, ნორვეგიის, ავსტრიის, შვეციის, ბელგიის და შვეიცარიის კომუნისტურმა პარტიებმა გამოგზავნეს დეპეშები, რომლებშიაც ისინი საერთაშორისო პროლეტარიატის სახელით პროტესტს აცხადებენ „გერმანიის საგანგებო კომისიის" საქმის შესახებ გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ, რომელსაც უწოდებენ ტერორისტულ საშუალებას გერმანიის პროლეტარიატის დასაშინებლად. გერმანიის წარმოებებში და პროფკავშირებში საპროტესტო რეზოლიუციები გამოაქვთ მუშებს, მიუხედავად პარტიული მრწამსისა.

გაფიცვების ტალღა ჩინეთში

პეკინი, 28 აპრილი. ცზინ-დაოში მწვავდება საფართლო წარმოებათა მუშების გაფიცვა.

მუშები განაგრძნობენ ბრძოლას და არ სურთ დათმობაზე წასვლა.

მიღებულ ცნობების მიხედვით, იაპონიის მისია მოითხოვს, რომ ჩინეთის მთავრობამ მიიღოს გადამწყვეტი ზომები გაფიცვის ჩასაქრობად.

მუშებმა თავისი გაიტანეს

პეკინი, 28 აპრილი. შანხაიში მეტვირთავეებმა გამოაცხადეს იტალიური გაფიცვა, რის გამო ჩინეთის და უცხოეთის გემები ვერ გავიდნენ ნავსადგურიდან. გემების მეპატრონეები რამოდენიმე დღის შემდეგ იძულებული გახდნენ გაედიდებიათ მუშებისათვის სამუშაო ხელფასი. ამისგამო 27 აპრილს დამთავრდა გაფიცვა.

ინგლისის ბიუჯეტი

ჩერჩილის მოხსენება.

ლონდონი, 28 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბიუჯეტის განხილვა თემთა პალატაში დაიწყო ფინანსთა მინისტრის—ჩერჩილის სიტყვით. მისი განცხადებით ნავარაუდევია სახელმწიფო ხარჯები 779.400.000 გირვანქა სტერლინგით. შემოსავალი კი ნავარაუდევია—826.000.000 გირ. სტერლინგით. შემოსავალში ნაანგარიშევია გერმანიისაგან მისაღები სარეპარაციო ვალების 81 მილ. გირ. სტერლინგი. მხოლოდ ამ ჯამში არ არის ჩათვლილი მოკავშირეებისაგან მისაღები ვალები.

რეიტერის სააგენტო იუწყება: ჩერჩილმა ბიუჯეტის შესახებ წარმოთქმულ სიტყვის დასაწყისში განაცხადა: არც ერთ ქვეყანას არ დაუხარჯია იმდენი ძალღონე, როგორც ბრიტანეთს, რომ წესიერათ და თავის დროზე შეასრულოს ყოველივე თავისი ვალდებულება. უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ინგლისის სახელმწიფო ვალი შემცირებულია ყოველწლიურათ 70 მილ. გირ. სტერლინგით. სახელმწიფო სესხის სარგებელი კი შემცირებულია 5 ნახ. პროცენტიდან 4 ნახ. პროცენტამდის.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ უკვე მიღებულია ზომები შეერთებულ შტატების ვალებს ივნისისა და დეკემბრის სარგებლის შესატანათ.

ლონდონი, 28 აპრილი. თავის გამოსვლის დროს ბიუჯეტის შესახებ—ჩერჩილმა პალატას გააცნო აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სავალდებულო დაზღვევის გეგმა. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ეს გეგმა ეხება 25 მილიონ მუშა-მოსამსახურეს. ამ გეგმის მიხედულობით პატრონები და მუშები ყოველ კვირეულად იხდიან კაცზე 4 პენსს და ქალზე—2 პენსს. სარგებლობის დროს ქვრივები მიიღებენ ყოველ კვირა 10 შილინგს, 5 შილინგს უფროს შვილზე და 3 შილინგს თვითეულ შემდეგზე სანამ იგინი მიაღწევენ 14 წლოვანებას.

გეგმის თანახმად ნავარაუდევია 200.000 ქვრივებისა და მშობლების დახმარება და 83.000 ბავშვისა. ყველა პირები, ვისც კი ჩარიცხულ იქნება პენსიაზე, 1928 წლის შემდეგ მიიღებენ 10 შილინგს კვირეულად, მიუხედავად თავიანთი ქონებისა, სანამ იგინი გახდებოდნენ 65 წლისა.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

გლეხკომების ყრილობაზე

მოსკოვი, 23 აპრილი. დღეს სრულიად რუსეთის გლეხკომთა ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოხსენება გააკეთა ზინოვიევმა, რომელიც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას. შეჩერდა გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტად ჰინდენბურგის არჩევის მნიშვნელობაზე. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ ჰინდენბურგის არჩევა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად სწორი იყო რუსეთის კომუნისტების მიერ აღებული კურსი. გზა, რომლითაც კომპარტიამ წაიყვანა საბჭოთა კავშირის ხალხები, იყო მძიმე და ძნელი, **მაგრამ ამ გზის შედეგია ის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები დაზღვეული არიან ისეთი საფრთხისაგან, როგორიც არის აშკარა მონარქისტის არჩევა.**

ამ გზის შედეგია ის, რომ გლეხებმა შესძლეს თავისუფლად შეკრება მოსკოვში და მათი საჭირბოროტო საკითხების განხილვა.

შემდეგ ზინოვიევი დაწვრილებით განმარტავს ლოზუნგს—„პირი სოფლისაკენ". მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელმაც წამოისროლა ეს ლოზუნგი, იმედი აქვს, რომ გლეხობაც თავის მხრივ პირს იბრუნებს საბჭოებისაკენ, მუშებისაკენ, საბჭოთა სკოლის, ქოხ-სამკითხველოს და ყველა კულტურულ-განმანათლებლურ დაწესებულებისაკენ, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს ეხლა მთავრობა, აგრეთვე მრეწველობისაკენაც. „ჩვენ,—სთქვა ზინოვიევმა—ყოველთვის ახლო ვიქნებით ღარიბ გლეხობასთან, მაგრამ **ჩვენი ამოცანაა შევქმნათ ჯანსაღი, ეკონომიურად ძლიერი კულტურული გლეხობა.** ამ ყრილობის შემდეგ პარტიის ყურადღება გლეხობისადმი კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ ვიცით, რომ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიასთან შედარებით, გლეხკომების მუშაკთა რიცხვი ძალიან მცირეა. მაგრამ ჩვენთვის იმიტომ არიან ასე ძვირფასი გლეხკომები, რომ ისინი წარმოადგენენ პირველ ჩანასახ გლეხთა საზოგადოებრიობის, იმიტომ, რომ გლეხკომებს ხმარდება უსასყიდლო შრომა მუშაობის მნიშვნელობის შეგნებით".

ზინოვიევი შეეხო კომუნისტების მუშაობას სოფლად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეხლა მუშაობა უნდა იქნეს სულ სხვაგვარი, ვინემ მაგალითად 1917 ან 1918 წელს. **კომუნისტები შეიარაღებული უნდა იყვნენ არა ბრაუნინგებით. არამედ სოფლის კანონების ცოდნით, გლეხობისადმი მიდგომის ცოდნით, გლეხობისადმი მიდგომის ცოდნით, ისინი უნდა იყვნენ გლეხობის საუკეთესო მრჩევლები, რათა პარტია იყოს სათავე, ხოლო მის გაგრძელებას წარმოადგენდენ უპარტიოები.**

კომუნისტებმა უნდა დაიპყრონ გლეხობის ნდობა.

თავისი სიტყვის დასასრულს ზინოვიევი ესალმება გლეხკომებს, რომელთაც უსურვებს, რომ ისინი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებათა პირველი გამტარებელნი გლეხობის სათანადო სიმაღლემდე აყვანის საქმეში.

მტკიცე ბიუჯეტის პროექტი

მოსკოვი 29 აპრ. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს პროექტს დადგენილებისა 1925—26 წლის მტკიცე ბიუჯეტის შესახებ.

1925—26 წლის ბიუჯეტის თავისებურობა პროექტის მიხედვით მდგომარეობს შემდეგში:

ბიუჯეტი დგება მტკიცე ბიუჯეტის სახით, რომელიც საშუალოდ შესრულებული უნდა იქნეს დაუყონებლივ, როგორც კი მას დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის ცაკი.

წლიური ბიუჯეტის შესრულების დროს, კრედიტები დანაწილებული იქნება კვარტალების მიხედვით; კრედიტების გამწესრიგებლებს უფლება ექნებათ დახარჯონ თანხები მხოლოდ არსებულ ფარგლების მიხედვით

„კომუნისტი"
ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში 1 მ. 20 კაპ.
მიიღება ხელის მოწერა მაისისათვის
მაისის განმავლობაში ხელისმომწერლებს დაურიგდებათ:
I. ჟურნალი „ჩირაღდანი"—ორი ნომერი (№ 9 და 10)
II. „ „მეცნიერება და ტეხნიკა" ორი ნომ. (№ 9 და 10)
ხელისმომწერლებს
დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება
„ჩირაღდანი" № 7—8

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიის და საზ-ბა „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა"-ს მუშაობა.

ცეკამ მიიღო დადგენილება რომელშიაც აუცილებლათ სცნო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის გაძლიერება. ეს მუშაობა ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრებული უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის; ამ მიზნით გაძლიერებული უნდა იქნეს თანხების გადადება ძირითადი სალიკვიდაციო პუნქტების ქსელის გასაფართოვებლათ.

კომკავშირმა წერა-კითხვის უცოდინარობა კომკავშირელთა შორის უნდა მოსპოს ახალგაზრდათა მე-12 საერთაშორისო დღისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას წვევამდელთა, მოზარდთა, მუშა ქალთა და გლეხ ქალთა შორის.

საზოგადოება „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა"-ს გამგეობის ფრაქციის მოხსენების გამო ცეკამ საჭიროთ სცნო ქვედა საფეხურის უჯრედების მუშაობის შემდგომი გაფართოვება სოფლათ და ფაბრიკებში, სადაც უნდა გადაიტანოს მუშაობის ცენტრი სახალხო განათლების განყოფილებამ.

განზრახულია მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოწვეული იქნეს საზოგადოება „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა"-ს ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ სოფლის ქვედა საფეხურის მუშაკები.

საზღვარ გარეთელი უჯრედების თათბირი.

რ. კ. პ. ცეკამ დაადგინა მოიწვიოს საზღვარ გარეთელი პარტიული უჯრედების თათბირი (უჯრედები ჩვენ სრულუფლებიან წარმომადგენლობებთან, სავაჭრო წარმომადგენლობებთან და საკონსულოებთან საზღვარგარეთ).

პიონერთა მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირი.

რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი დაეთანხმა რ. ა. ლ. კ. კ. ცეკას წინადადებას პიონერთა მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირის მოწვევის შესახებ მაისის მეორე ნახევარში.

კომუჯრედი № 49

ექვსი თვე იქნება მას შემდეგ, რაც საბჭოთა პარტსკოლასთან დაარსებულია კომუჯრედი. სკოლაში ირიცხება 118 კურსანტი, რომელთა უმრავლესობა დაზგაზე მომუშავე მუშებია, დანარჩენი პროვინციიდან ჩამოსული გლეხებია.

კომუჯრედში ირიცხება 65 პარტიის წევრი და 40 კანდიდატი.

ბიუროში შედის 7 წევრი და 2 კანდიდატი.

უჯრედი თავის მუშაობას აწარმოებდა ბიუროს მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით. საანგარიშო დროის განმავლობაში კომუჯრედს ჰქონდა 15 სხდომა, 6 დახურული და 9 ღია, რომელზედაც გარჩეული იქნა 57 საკითხი.

უჯრედის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რათა უჯრედის ყველა წევრები ჩაგვება აქტიურ მუშაობაში. ამ მიზნით ბიურო რიგრიგობით უჯრედის თვითეულ წევრს ავალებდა უჯრედის საერთო კრებაზე მოხსენების გაკეთებას სხვა და სხვა თემაზე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის, რომ უჯრედმა სერიოზული ყურადღება მიაქცია სკოლაში ფიზიკურად მომუშავე თანამშრომელ ქალებს, რომლებმაც არ იციან სრულიად წერა-კითხვა, რისთვისაც გამოყოფილი იქნა ამხ. პონკოლზინა მათ შორის მუშაობის საწარმოებლად.

კომუჯრედს აქვს კავშირი როგორც სამხედრო, ისე საწარმოო უჯრედებთან, რომელთანაც თვეში ერთხელ იმართება გაერთიანებული კრებები. ურთიერთშორის სწარმოებს აგრეთვე კედლის გაზეთების გაცვლა-გამოცვლა.

უჯრედთან არსებობს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და „რემდას"-ის უჯრედებიც, რომელთა მუშაობა ჯერჯერობით მოისუსტებს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდება; ზემოხსენებულ უჯრედების მუშაობა გამოცხოველებული იქნება.

კომუჯრედის წევრების უმრავლესობას გამოწერილი აქვთ სხვადასხვა ჟურნალ გაზეთები.

პარტკორი **გოგოლაშვილი.**

გაუგებრობის ასაცილებლად

(გლეხთა ცენტრალური სახლის შესახებ)

გლეხის ცენტრალური სასახლე გაიხსნა 6 აპრილს. 5 აპრილს კი პრესაში გამოქვეყნებულ იქნა ამ სახლის დებულება დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ამ დებულებაში არის ერთი მუხლი, სადაც სხვათა შორის, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებისათვის გლეხის სასახლეში მოწყობილია ბინა, სადილი და სხვ. ეს მუხლი ადგილებზე ზოგიერთების მიერ გაგებულ იქნა იმნაირად, რომ თითქოს გლეხის სასახლის მმართველობა ვალდებულია პროვინციიდან ჩამოსულ გლეხებს სრულიად უფასოთ მიაწოდოს როგორც ბინა, აგრეთვე სადილი და ვახშამიც. აი მაგალითებიც: იყო შემთხვევა, როდესაც ქუთაისის მაზრიდან, თელავიდან და სიღნაღიდან ჩამოსულმა გლეხებმა პირდაპირ გაგვიცხადეს, რომ მათ ადგილობრივმა საბჭოებმა და გლეხკომებმა უთხრეს: „თბილისში არსებობს ახლად მოწყობილი გლეხის ცენტრალური სასახლე, რომელსაც შეგიძლიანთ საჭიროების დროს მიმართოთ, ის ვალდებულია სრულიად უფასოდ გაგიკეთონ და მოგაწოდონ ყველაფერი"-ო.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასახლის მმართველობას, მიუხედავად იმისა რომ პრესაში არა ერთხელ იყო გაშუქებული, თუ რა არის გ. ც. სასახლე, რა ამოცანებს ისახავს ის, როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს მან, რაში უწევს სასახლე დახმარებას ჩამოსულ გლეხებს სრულიად უსასყიდლოთ და რაში რამდენი უნდა გადახდეს მათ,—საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიუთითოს ყველა ამხანაგებს, რომ ამნაირი გაგება გლეხის სასახლის დანიშნულების შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს.

სასახლეში დაბინავებულ გლეხებს, რომლებიც ჩამოსული არიან კერძო ან საზოგადოებრივ საქმეებისათვის, უფასოთ შეუძლიათ სარგებლობა შემდეგით: აბანოთი, დეზინფექციით სასახლეში მოწყობილ მოხსენებებით და თათბირებით, წიგნთ-საცავ-სამკითხველოთი, კინო-სურათებით, წარმოდგენებით, სხვადასხვა საინტერესო წამოწყებების სანახავად, გამართულ ექსკურსიებით ფაბრიკა-ქარხნებში, მუზეუმებში და გამოფენებზე, ყოველნაირი ცნობების მიცემით, იურიდიული კონსულტაციით, თხოვნების, განცხადებების, საჩივრების და შუამდგომლობებისათვის საჭირო ქაღალდების დაწერა-შედგენით და სხვ.

ნივთიერად გაჭირვებული, ღარიბი გლეხი სოფლიდან ჩამოსული რაიმე პირადი საქმისათვის დღე და ღამეში საწოლზე იხდის 20 კაპ., სოფლის ან გლეხების ერთი რომელიმე ჯგუფის რწმუნებული 30 კაპ., თემის ან მთელი რაიონის რწმუნებულები 40 კაპ., ხოლო რაც შეეხება პარტიის, საბჭოების, კოოპერატივების, გლეხკომების და სხ. რესპუბლიკის მასშტაბით მოწყობილ ყრილობებზე ჩამოსულ დელეგატებს, რომელთაც საბიუჯეტო წესით ხარჯების დასაფარავათ ეძლევათ სათანადო საშუალება, ისინი იხდიან 1 მ.

აღნიშნულ კატეგორიების მიხედვით სადილზე არის დადებული შემდეგი ფასები: პირველ და მეორე ჯგუფის გლეხებისათვის 30 კაპ., ხოლო ორ უკანასკნელზე 50 კაპ.

მისალებ ბაკში—ეზოში გაჩერებულ მსხვილ-ფეხა საქონელზე ხარი, კამეჩი, ცხენი—გლეხი დღე და ღამეში იხდის 15 კაპ.

სოფლიდან ჩამოსული გლეხები, სასახლეში მათი გაჩერების ვადის განსაზღვრის მიხედვით იყოფიან სამ ჯგუფად; პირადი საჭიროებისათვის ჩამოსული გლეხი ჩერდება 1—5 დღემდე, სოფლის, თემის ან და რაიონის რწმუნებულები სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმეებზე ჩამოსულნი ჩერდებიან 1—10 დღემდე, ხოლო ყრილობის დელეგატები მანამ, სანამ ყრილობა დამთავრდებოდეს და კიდევ ორი დღე და ღამე.

დ. ნასარიძე.

ქართული სტამბის მანქანები

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქართული გაზეთებისათვის გერმანიაში შეკვეთილი იყო მანქანები. ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენ მოგვივიდა ცნობა იმის შესახებ, რომ მანქანები ზოგი უკვე დამზადებულია და ზოგიც ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში იქნება მზათ.

მიღებული ცნობების თანახმათ უკვე მზათ არის:

პატარა ზომის საბეჭდავი მანქანა („როტაციონკა" გაზეთ „მუშისა" და „ახალი სოფლისათვის").

2) სახაზავი და საბეჭდავი მანქანა.

გარდა ამისა მაისის დამდეგისათვის მზათ იქნება:

3) საწყობი მანქანები სულ 10 ცალი.

დიდი საბეჭდავი მანქანა „როტაციონკა" გაზეთ კომუნისტისათვის", მზათ იქნება მარიამობისთვის დამდეგისათვის.

გუშინ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა უკვე მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ პირველი წყება მანქანებისა უკვე მოსულია ბათომში.

ამ დღეებში ეს მანქანები თბილისისაკენ წამოვა.

განათლების ფრონტზე

დაწესებულებათა შეკეთება

განათლების კომისარიატმა სატეხნიკო კომისიას დაავალა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, განათ. კომისარიატის ქვეშ მყოფ დაწესებულებათა შესაკეთებლად.

ტანისამოსი ბავშვებისათვის

განათლების კომისარიატი შეუდგა საბავშვო სახლებისათვის საზამთრო ტანისამოსის დამზადების საქმეს.

განათლების კომისარიატის ახალი სტამბა

განათლების კომისარიატმა შეიძინა საზღვარგარეთ ახალი სტამბა, რომელიც ახლო ხანში ამუშავებული იქნება თბილისში.

ახალი საკანცელარიო მაღაზიები

განათლების კომისარიატი ახლო ხანში. ისანსა, ნაძალადევსა და სადგურის ქუჩაზე ხსნის საკანცელარიო მაღაზიებს.

დახმარება გლეხკომს

განათლების კომისარიატმა დაადგინა სოფ. საყარაულოში მაჭავარიანისეულის წისქვილის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის განათლების კომისარიატს, გადაეცეს ადგილობრივ გლეხკომს.

საისტორიო მასალების შეკრება ჩეჩნეთის შესახებ.

განათლების კომისარიატმა, ჩეჩნეთის ავტონომიურ ოლქიდან მიიღო სამადლობელი დეპეშა, იმ დახმარებისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც განათლების კომისარიატმა აღმოუჩინა ჩეჩნეთის წარმომადგენლებს კანუკოვს ჩეჩნეთის საისტორიო მასალების შეკრების საქმეში. განსაკუთრებით ჩეჩნეთის ცაკი მადლობას უცხადებს ამხ. მარია ორახელაშვილს, ვ. ბერიძეს, ს. კაკაბაძეს და ესაძეს.

ქრონიკა

— **საამშენებლო მასალა.** მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში საქართველოს სატყეოებიდან გაიცა 719,035 კუბ. ფუტი საამშენებლო მასალა.

— **რკინისგზის ახალი ხაზი.** ა | კ. რკინის გზების სამმართველოს განზრახვა აქვს ამეტაში (თელავის მაზრა) გაიყვანოს რკინისგზის ახალი ხაზი და იქ მოაწყოს ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები.

— **წიგნები სატყეო მეურნეობაზე.** მიმდინარე წელში სატყეო მეურნეობაზე წიგნების გამოსაცემად სატყეო განყოფილებამ გადასდო 1,200 მან.

— **ტყის მოშენება მთაწმინდაზე.** სატყეო განყოფილებამ თბ. აღმასკომს გადასცა 120 ძირი ხის ნერგი მთაწმინდაზე ტყის მოსაშენებლათ.

— **თბ. აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებამ** შეიმუშავა წესები თბილისის მაზრის ტყეებში საქონლის ძოვების შესახებ.

— **არხის გასაყვანათ.** ბორჩალოს არხის გასაყვანათ ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 200 ათასი მან.

— **საქ. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების** დაარსებიდან ერთი წლის თავზე 3 მაისს თბილისში მოეწყობა გრანდიოზული გაფრენები და საზოგადოების წევრთა აღლუმი ჰაეროდრომზე.

— **„ევკოგრუზს"** გასულ წელში თავის წევრებზე ნისიათ გაუცია 8697 მან. საქონელი.

— **ქართულ სამხედრო** მთლიან კოოპერატივში ამჟამად ირიცხება 5,600 წევრი.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში თბ. დამზღვევმა სალარომ დაურიგა 306,475 მანეთი.

— **მოწყალე დათა გამოცდები.** ჯანსახკომის დადგენილებით 5 მაისიდან დაიწყება ომის დროინდელ მოწყალე დათა გამოსაცდელი გადასინჯვა.

— **ჯანსახკომმა შეადგინა** გვამების გაკვეთის წესი სასამართლო ექსპერტიზებისთვის და დაუგზავნა მაზრებს.

— **ტრამვაის რონოდებმა** იანვრიდან აპრილამდე გაიარეს 863,875 კილომეტრი, (დაახლოებით 900 ათასი ვერსი).

— **წერკუმსის სასარგებლოთ.** თბილისში ახლად გახსნილ სამხეცეს შემოსავლის ნახევარ პროცენტი გადარიცხულ იქნება წერკუმსის სასარგებლოთ.

— **შრომის სახ. კომისარიატის ნებართვით** 1 და 3 მაისს იმუშავებენ ის კოოპერატივები და ორგანიზაციები, სადაც რიგდება აბრეშუმის ჭიის თესლი.

ხელოვნება

ეგონ პეტრი

სრულიად მოულოდნელათ თბილისში ჩამოვიდა ერთერთი გამოჩენილი და საქვეყნოთ ცნობილი ევროპიელი პიანისტი ეგონ პეტრი. ამ სახელს ეხლა იცნობენ მთელს მსოფლიოში. და მართლაც არტისტმა დაიმსახურა პირველხარისხოვანი ნიჭის სახელი.

საჭირო არ არის ეგონ პეტრის გარეგნულ პიანისტურ ნიჭზე ლაპარაკი. ტეხნიკა პირდაპირ მიუღწეველ სიმაღლეზე სდგას.

ეგონ პეტრი—პიანისტი—აკადემიკოსია, მის შესრულებაში უფრო მეტია ჭკუა, ვიდრე გული. მას ატტაცებაში მოყავს დარბაზი ფორტეპიანოს ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების გაგებით და მხატვრული შესრულებით; მის შესრულებაში განუსაზღვრელი გარეგნული სილამაზეა, მრავალი დინამიური სურათები.

არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგიყვანოს მსუბუქმა ტუშემ და მთელმა გარეგნულმა სილამაზემ, მაგრამ მიუხედავათ ამისა არტისტი მაინც ვერ იპყრობს მთლიანად მსმენელს; ის აკვირვებს და იტაცებს აუდიტორიას, მაგრამ ღრმა განცდებს არ იწვევს მასში.

ეს არის დიდი პირველხარისხოვანი, მაგრამ მხოლოდ აკადემიური მუსიკალური ძალა.

ბახი (ჩაკონნა) შესრულებული იქნა თავისებურათ სკრიპკების ტონში, თუმცა ბუზონიმ ის როიალისთვის დაამუშავა: აქ სჩანს დამთავრებული მუსიკალური ფორმები და დაცულია სტილი.

მაგრამ ბეთხოვენის სონატების უკეთესი შემსრულებლის წარმოდგენა შეუძლებელია. თბილის ჯერ არ მოუსმენია „მთვარიანი" სონატის ასეთი დამთავრებული შესრულება.

შოპენის ყველა თორმეტი ეტიუდი შესრულებული იყო მხატვრულათ. დაცულია სტილი და სილამაზე.

ლისტის პოპულიარული ეტიუდი „კამპანელა" შესრულებული იყო ახალი გაგებით; შესრულება დამთავრებულია.

სავსე აუდიტორიის ერთსულოვანი მოთხოვნის გამო არტისტმა პროგრამის ზევით შეასრულა რამოდენიმე პიესა.

კონცერტის დასრულების შემდეგ დაუსრულებელი ოვაციები და ტაში.

პ. ბ.

— **ოპერის სეზონის დახურვა.** დღეს, დაიხურება ოპერის სეზონი. უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი".

— **ეგონ პეტრის მე-3 გასტროლი.** დღეს, თეატრ „ტარდ"-ში გაიმართება ცნობილ პიანისტის ეგონ პეტრის მე-3 და უკანასკნელი კონცერტი თბილისში.

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრის ჩამოსვლა.** პირველ მაისს დილის 9 საათზე და 30 წ. მოსკოვიდან ჩამოდის მოსკოვის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიური თეატრის მთელი შემადგენლობა.

სადგურზე შესახვედრათ აღნიშნულ დროს გახსნილ იქნება საპარადო ოთახი.

პროფკავშირის წევრებს, ვისაც სურთ შეხვედრა სთხოვენ ორგანიზაციულ წესით თავი მოიყარონ ერთი საათით ადრე მატარებლის მოსვლამდე.

დღეს კინოებში

— აპოლო—„ორი ობოლი".
— არფასტო—„მესსალინა".
— სოლეი—„მესსალინა".
— თვითმფრინავი—„ურაგანი".
— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი".
— აისი—„კარნავალის ბავშვები".

შემთხვევები

ცეცხლი. 28 აპრილს, ღამით ვერის დაღმართზე № 7 გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

— **შეპყრობა.** 27 აპრილს შეიპყრეს უბინაო მიხეილ ანდრეევი, რომელსაც ბრალდება გ ხარკევიჩის ბინის (გუნიბის ქ. № 29) გაქურდვა.

— **ვერ მოასწრუს.** 28 აპრილს გრიბოედოვის ქ. № 23, პეტრე ბუაჩიძის ბინაზე შეპყრობილი იქნა სურენ გრიგორიანცი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **გაძარცვა.** 27 აპრილს კოჯორისა და პრიუტის სადარაჯოს შუა ბოროტგამზრახველებმა გაძარცვეს იოსებ ხატისოვი. ერთი მძარცველთაგანი შეიპყრეს.

— **აღმშენებელთა-კლუბის გაქურდვა.** 28 აპრილს გაქურდეს აღმშენებელთა კლუბი (ჩერქ. ქ. № 38), წაიღეს სცენის მოქარგული ფარდა, ელექტრონის შუშები და სხ.

— **მუსიკის მოყვარული ქურდები.** 28 აპრილს გატეხეს ინტერნაციონალის საბავშვო ბაღში მდებარე მუსიკალურ ინსტრუმენტების საწყობი. წაიღეს სხვადასხვა სამუსიკო საკრავები, ღირებული 200 მან.

— **ქურდი ქალები.** 28 აპრილს შეიპყრეს ვართანუშ ტატიანცი და ანნა როვმანიანცი, (მცხ. მუშტაიდის ქ. № 19), რომელთაც ბრალდებათ მიხეილ ტოსიევის მიერ მიბარებულ პაპიროსების ყუთის გატეხვა და პაპიროსების მოპარვა.

— **ქურდობა.** 27 აპრილს, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ბიძინა გურაბიშვილის ბინა.

— ამავე დღეს კუკის შესახ. № 1 ბოქლომის გატეხვის საშუალებით გაქურდეს მოქ. დემუროვის ბინა.

მუშათა ცხოვრება

პასუხი ინფ. „ქლიბს"

24 აპრილს შესდგა მე 3-მე საბავშვო სახლში პიონერთა ორგანიზაციის საბჭოს კრება, ოქმი № 12, რომელსაც დაესწრნენ უჯრედიდან წარმომადგენლები, კომკავშირის პასუხისმგებელი მდივანი **შონია რომანოზი** და სახლის პოლიტიკური ხელმძღვანელი **თ. დოლიძე** იქნა გარჩეული წერილი ვინმე ინფ. „ქლიბი"-სა, რომელიც ეხება მე-3-მე საბავშვო სახლის ცხოვრებას, გამგეს და ხელმძღვანელებს; კრებამ იქონია მუხლობრივად მსჯელობა წერილის შინაარსის გარშემო, სადაც ინფ-რი „ქლიბი" სდებს ბრალს სახლის გამგეს, ვითომც ის იყოს უვარგისი ელემენტი არა პედაგოგი და უნარს მოკლებული,—ხშირად ქეიფობდეს, თამაშობდეს ნარდს და ქონდეს ასეთებს სისტემატიური ხასიათი, ამას გარდა, როგორც გამგე, ისე ხელმძღვანელებიც ვითომცდა არ უთანაგრძნობდნენ ბავშვებს და ხელს უშლიდენ როგორც კომკავშირელებს, ისე პიონერთა ორგანიზაციას და მათში შემავალ წევრებს მუშაობაში და მტრული თვალით უყურებდენ მათ. ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. პირიქით, ყველანი უჯრედის დაარსების დღიდან შეძლებისდაგვარად დახმარებას გვიწევენ და მონაწილეობას ღებულობდენ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაშიაც.

ამასთან ამხ. „ქლიბი" აღნიშნავს, რომ ვითომც სრულებით არ არსებობდეს სახლში კომუნისტური აღზრდა. ჩვენ კი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეს სახლი გადაქცეულია ნამდვილ **კომუნისტურ აღმზრდელ სახლად.**

სახლის პოლიტ-ხელმძღვანელი
თამარა დოლიძე.

შოფერების თავგასულობას ბოლო არ მოეღო!

(ქალ. აღმასკომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ).

ბევრი წერილები ყოფილა მოთავსებული გაზეთის ფურცლებზე იმის შესახებ, რომ ავტომობილებმა უნდა იარონ ნელად, მაგრამ საუბედუროდ. ამას ყველა შოფერები კი არ ასრულებენ, და ისინი მაინც საშინელი სისწრაფით დააფრენენ ავტომობილებს, რასაც ხშირად შემაძრწუნებელი შედეგები მოაქვს.

აი მაგალითიც: კახეთის ქუჩაზე 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მოჰქროდა ნიავქარივით სასწრაფო დახმარე ავტომობილი, რომლის შოფერად ბრძანდებოდა ვაჟბატონი გავრილენკო. ამ დროს პოსტზე იდგა მე-7 უბნის მილიციელი ამხ. შეტიაშვილი, რომელსაც ელაპარაკეოდა ამხ. უსეინ მამედა და რომ დაინახეს, რომ ავტომობილი ფრინველივით მოქროდა მათთკენ, აეყუდნენ ტრამვაის რკინის ბოძს, მაგრამ ავტომობილი ისე სწრაფად მოქროდა, რომ რკინის ბოძსაც მოახვედრა ცოტათი და ეს ორი ამხანაგი გაიტაცა და ორივენი ძალზე დაასახიჩრა.

დაჭრილები საავადმყოფოში გააგზავნეს, შოფერი კი გაანთავისუფლეს. განა ეს დასაშვებია?

მუშკორი **ი. ჯ.**

მდგომარეობა ტრანსპორტზე შიუსა გვრის

(რკინისგზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

თუ თვალს გადავავლებთ ა | კ. რკინისგზებს და დაუკვირდებით მის მდგომარეობას, ნათლად დავინახავთ, რომ მდგომარეობა ტრანსპორტზე თავის სიმაღლეზე არაა დაყენებული. ავიღოთ მაგ. მიმოსვლის დარგი; მართალია აქ არსებობს განრიგების ცხრილი მატარებელთა, მაგრამ საქმეს არსებითად ეს არა შველის—და ამიტომ მატარებელთა დაგვიანება ეს ჩვეულებრივი და თითქმის აღმოუფხვრელი მოვლენაა.

ერთი მემანქანე ლაპარაკობდა: „თბილისიდან ხაშურამდე 4—5 საათს უნდება მატარებელი მისვლას, რომელსაც ევროპაში სულ რაღაც საათნახევარში გაივლის, სადგურში მისვლისას მომცენ გადაცემული კვერთხის მაგიერი და დგომის ნორმის გათავების შემდეგ ნება მქონდეს, რომ იმ წუთას დავიძრა ადგილიდან. და ასე მეტად წესიერი და დროული წასვლით ხაშურამდე ორ საათ ნახევარში მივალო". ჩვენსა კი სანამ ზარებს დარეკავენ, ე. წ. „ობერი" კვერთხს მემანქანეს მიუტანს, უკანასკნელი კი გადმოიხედავს, მიიღებს წასვლის ნიშანს, ზარი დააყვირებს და მატარებელი დაიძვრება. ამ დროს განმავლობაში გადის 3—4 წუთი.

ყოველივე ამაში დამნაშავეა ის მოსამსახურეთა პერსონალი, რომელიც დროს არ აფასებს და მისი წუთობით გამოყენებაზე სრულიად არ ფიქრობს.

გარდა ამისა ყველამ კარგად იცის, რომ სურამის უღელტეხილი მეტად საფრთხილო გზაა, სადაც ძალიან ხშირია მატარებლების გაქცევა, რონოდების დამტვრევა და სხვა. ერთმა მემუხრუჭემ სთქვა: ამ ერთ წელიწადში რომ ამ გზაზე რონოდები დაიმტვრა, იმდენი. არასოდეს არ დამტვრეულა სხვა დროს. იყო შემთხვევები მატარებლის შემადგენლობას მიუბეს რამოდენიმე ვაგონი ნორმაზე მეტი. მემანქანემ უარი განაცხადა წაყვანაზე, მაგრამ იძულებით გაგზავნეს, ორთქლმავალმა ვერ შეიძაგრა, რის გამო მარცხით აუარებელი რონოდები დაიმტვრა. თითქმის ხშირად გაიგონებთ: „აქ მატარებელი ჩავარდა, იქ რონოდები დაიმტვრა და სხვა".

ყველა კი ეს შედეგია იმ დაუდევრობისა, რომელსაც აქვს ადგილი რკინისგზებზე.

საჭიროა ამ დამღუპველ მოვლენებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და აღმოიფხვრას ისინი ერთხელ და სამუდამოდ.

მუშკორი ტაბაკონელი.

პროვინციაში

შემოქმედის თემი

(ოზურგეთის [illegible])

შემოქმედის თემში შედის ერთი პატარა სოფელი ფატარი. ამ სოფლის დასავლეთით, ცენტრიდან ნახევარი ვერსის მანძილზედ მცხოვრებლები უმწეო მდგომარეობაში არიან იმ მხრივ, რომ მათ არ აქვთ ზამთრობით ფეხით სავალი გზაც კი, ხოლო ეტლით, ურმითა და ცხენით გავლა სრულიად შეუძლებელი ხდება, რადგან ზამთრობით დიდი ტალახებით და ადიდებული პატარა მდინარეებით განუწყვეტლივ დაფარულია გზა.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეს სოფელი ასეთ გაჭირვებას განიცდის და ვერ მიუქცევია ვერავის ჯერ-ჯერობით ჯეროვანი ყურადღება, რომ ეს საქმე გამოსწორებულიყო. მხოლოდ გასულ წელს გზების შეკეთების ინიციატივა თავს იდვეს კომკავშირის წევრებმა, მაგრამ მარტო მათის ძალებით ამ საქმის მოწესრიგება შეუძლებელია და საქმე არც გაკეთდა.

მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებლები თხოვნით მიმართავდენ ადგილობრივ მმართველ ორგანოს, ამ საქმეს მაინც არასოდეს ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული. დღეს კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სათემო აღმასკომმა მიაქციოს ამას ყურადღება და გამოაღვიძოს ადგილობრივი გზათა სექცია, რათა მიაქციოს მან ყურადღება ისეთ დიდ საქმეს, როგორიც არის გლეხობისათვის გზა.

საშურია.

სამკითხველოს ყურადღება ესაჭიროება

(ს. ჭაჭიეთი, ზუგდიდის მაზრა)

სოფელ ჭაჭიეთში არსებობს ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომლის ერთ ოთახში მოთავსებულია სამკითხველო. მაგრამ ასეთ სამკითხველოს სულ რომ არ იყოს—ისა სჯობია ღიას ბედნიერს დღეს თუ ნახავს კაცი, თორემ ისე მუდამ გამოკეტილია. ამას გარდა, ამ სამკითხველოს მოსდის გაზეთები, რომელიც გამოუწერა ამ სოფლიდან ქალაქებში წასულმა ამხანაგებმა, მაგრამ გაზეთებს სამკითხველოში ვერ ნახავთ. ამ გაზეთებს ითვისებენ კერძო პირები და უმეტესათ კი გამგეობის წევრები.

სამკითხველო აგრეთვე ღარიბია ლიტერატურული, აგრონომიული და პოლიტიკური წიგნებით. გასულ წელს სამკითხველოს სასარგებლოთ დადგმული იქნა წარმოდგენა, რის შემოსავალი უდრიდა ოცდა-ათ მანეთს. მაგრამ ეს თანხა არ მოხმარებია არც სამკითხველოს და არც სხვა რაიმე საზოგადო საქმეს. თუ რაში დაიხარჯა ეს ფული, დღესაც არავინ იცის. საჭიროა ამის გამორკვევა.

სამკითხველოს გამგეობას, საჭიროა გაზეთების დასწყობა სამკითხველოში და არა ოჯახში. დაინტერესებული უნდა იყოთ, რომ გაზეთები გაავრცელოთ ხალხში, რაც მთავარი საშუალებაა სოფელში კულტურის შესატანათ.

ამას გარდა საჭიროა, რომ ამ სამკითხველოს დახმარება გაუწიოს სამაზრო პოლიტგანმა სხვადასხვა წიგნების მოწოდებით.

ჭაჭიეთელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ბაღის მოწყობა.** გორში უკვე შეუდგენ საზაფხულო ბაღისა და კლუბის მოწყობას.

— **ხიდის აგება.** ზუგდიდის აღმასკომის თაოსნობით ამჟამად სწარმოებს სოფ. მუხურში ხიდის აგება.

— **გლეხკომების დახმარება.** სოფ. არზვენის (ახალციხის მაზრა) გლეხკომმა უფასოდ მოუხნა ადგილობრივ უხარო გლეხებს 15 დესეტინა მიწა.

— **საფეიქრო ქარხანა.** მიმდინარე წლის განმავლობაში თელავის აღმასკომს განზრახული აქვს თელავში მოაწყოს საფეიქრო სახელოსნო.

— **იურიდიული დახმარება გლეხებს.** გორის აღმასკომის მიერ სასამართლოსთან დაარსებულ იურიდიულ დახმარების ბიუროში, აუარებელი გლეხები სარგებლობენ იურიდიული რჩევა-დარიგებით.

— **შენობის შეძენა.** ნაგომარის თემის (გურია) გლეხებმა შეიძინეს შენობა საექიმო სადგურისათვის.

— **ნარდი ხამუშაო.** ხაშურის სახერხი ქარხნის მუშები გადაყვანილ იქნენ ნარდ სამუშაოზე.

— **საქონლის ჭირი.** სოფ. გულბახში (ბორჩალო) გაჩნდა საქონლის ჭირი, მიღებულია ზომები მის წინააღმდეგ.

— **ბრძოლა ფილოქსერასთან.** ბორჩალოს აღმასკომმა შეიძინა 30 ათასი ძირი ამერიკული ვაზის ლერწი და აწყობს შესაფერ სანერგეებს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ასეთი წესით მაქვს თუ არა უფლება მიწა დავამუშავო

კითხვა

მე მაქვს მიწის ნორმა, რომელიც შესდგება ერთ დესეტინა სარწყავ მიწისაგან და სამ დესეტინა ურწყავ ადგილისაგან. მყავს სარჩენი სამი სული: ცოლი ორი ბავშვით. ერთ დესეტინა სარწყავ მიწას მე ვამუშავებ საკუთარი შრომით, ხოლო სამი დესეტინა ურწყავი ადგილი დამრჩა დაუთესავი და მოუხნავი, რადგანაც არა მყავს მუშა-საქონელი და არც მაქვს ფული, რომ ქირით მოვახნევინო. ამიტომ მსურს მოვიქცე ასე: მინდა ავიყვანო ამხანაგებად სამი ადგილობრივი ღარიბი გლეხები, რომლებსაც ჰყავთ თითო უღელი ხარი; ეს გლეხები პატარა გუთნით მოხნავენ და დასთესავენ სიმინდს ჩემ სარგებლობაში მყოფ მიწაზე (თესლს მე მივსცემ). მე უნდა გამოვიყვანო ჩემი ხარჯით სარწყავი არხი ფიცრის ღარებით, რომლებიც უკვე დამზადებული მაქვს და გაუკეთო ადგილს სარწყავი, ვინაიდან სიმინდი აქ ურწყავი სრულებით არ მოდის. მოვეხმარები აგრეთვე თოხნაში. მოსავალს გავიყოფთ ისე, როგორც მოვერიგდებით.

გთხოვთ გამაგებინოთ მიწის ასეთი დამუშავება ეწინააღმდეგება თუ არა არსებულ კანონებს,

გლეხი **მ. სალარიძე.**

პასუხი

მიწის კოდექსის მუხ. 37-ის თანახმად თქვენ გაქვთ სრული უფლება ასეთი წესით და დაქირავებული მუშა-ხელითაც დაამუშაოთ მიწა, ვინაიდან თქვენ არა გაქვთ მის დასამუშავებლად არც ინვენტარი და არც მუშა-ხელი გყავთ.

მაქვს თუ არა უფლება მივიღო მიწა და რა რაოდენობით

კითხვა

მე ვმუშაობ საქ. წითელ ჯვრის საზ-ბის სტამბაში ასოთ-ამწყობად. წევრი ვარ ბეჭდვითი სიტყვის კავშირისა 1917 წლიდან; ვცხოვრობ სოფ. დიღომში (რადგან ქალაქში ვერ ვიშოვნე ბინა); დილით მივდივარ სამუშაოზე 7 საათზე, ხოლო 3 საათზე დიღომში, ასე რომ, თითქმის 4 საათს ვკარგავ გზაში ყოველდღე, რადგან მინდა მჭიდრო კავშირი მქონდეს სოფლის გლეხობასთან. სოფ. დიღომში მაქვს ხის სახლი, მიჭირავს ერთი ოთახი და 300 საჟ. მიწა; სხვა საკუთრება არა გამაჩნია რა: ვარჩენ ცოლსა და ორ პატარა მცირეწლოვან შვილებს; მშობლებსაც ვეხმარები შეძლებისდაგვარად.

მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო საფონდო მამულიდან სახნავ-სათესი მიწა, ან ბაღი, და რა რაოდენობით.

ასოთ-ამწყობი **დავით ბერიძე.**

პასუხი

თქვენ, როგორც ფიზიკურ მომუშავეს, (რომელიც ეწევა წარმოებით შრომას სახელმწიფო დაწესებულებაში), გაქვთ უფლება ადგილობრივ სასოფლო საბჭოს თანხმობით მიიღოთ სოფლად მიწის ნახევარი ნორმა. (იხ. მიწის კოდექსი მუხლი 67).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ვრქომაიშვილს, ფანცხავას და გორძახიას, დღეს, 30 აპრილს, დღის 1 საათზე გამოცხადდნენ თ. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილებაში.

თ. კ. მდივანი—**ასრიბეკოვი.**

— ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს, 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მბეჭდავთა კლუბში შესდგება მბეჭდავთა უჯრედის პარტიულ წევრებისა და კანდიდატების კრება.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ამხ. ნიკიტინისა: მბეჭდავთა კავშირის ეკონომიურ მუშაობის შესახებ. 2) მოხსენება ამხ. საყვარელიძისა: შეფკომისიების შესახებ. 3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა პარტდისციპლინით.

მდივანი—**აკოფოვი.**

— განათლების მუშაკთა სახლში, 2 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ამხ. მ. პ. ორახელაშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე „**1 მაისის მნიშვნელობა**“.

მოხსენების შემდეგ დაიდგმება—ორი პიესა:

1) მგზავრი ქართ. ენაზე,
2) ძლევამოსილი მაისი, რუს. ენაზე

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში დღეს, 30 აპრილს შესდგება პროლეტკულტის საღამო. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს 2 მაისს გაიმართება კინო. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კლუბის გამგეობა.

— „რემედასს“-ის მესამე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 30 აპრილს, საღამოს სრულ 4 ნახ. საათზე, მესამე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე შესდგება „რემედასს“-ის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) „რემედასს“-ის თბილისის კომიტეტის ანგარიში, 2) 1 მაისის დღესასწაულის შესახებ. 3) სხვადასხვა.

სავალდებულოა უჯრედთა ბიუროების და რაიონულ საბჭოს წევრების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს 30 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ლენინის რაიკომის ბინაზე (ჩერქეზიშვილის ქ. № 145) შესდგება ლენინის რაიონის პოლიტიკური ცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი. სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება:

1. ხუციშვილი, 2. მურაჩაშვილი, 3. კულიჯანოვი, 4. მიტ-აბრამ, 5. ცინცაძე, 6. მახარაძე, 7. გიორგაძე, 8. როზენფელდი, 9. ხუციშვილი, 10. ცხაკაია, 11. ჩაჟაცკი, 12. საჯაია, 13. გვაცაძე, 14. ამოსოვი, 15. ფესიუკი, 16. კაიშაური, 17. ბასილაია, 18. ლოგინოვი, 19. ტინტიკოვი, 20, ეპიკტეტოვი, 21. დოიჯაშვილი, 22. ბაქრაძე, 23. ბოკერია, 24 მაღრაძე, 25. მელნიკოვი, 26. ბალბეკი, 27. იოვიძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ფარნაოზ იოანეს ძე, შვილები ვანო, კოწია, მედეა, გოგლი და ლევან ვეფხვაძეები, სიძე შალვა გიორგის ძე მაღრაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ა/ წ. 29 აპრილს, დილის 11 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეების საყვარელი დედა, ხოლო უკახასკნელის სიდედრი

ზინა რომანოზის ასული ვეფხვაძისა

პანაშვიდები ყოველ დღე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს სავანეში, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გრიგოლ ექვთიმეს ძე დონაძე შვილებით, ზინა და ლადო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ დღეს, 30 აპრილს, საღამოს 6 საათზედ, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

კატო (ეკატერინე) კონსტანტინე მიქელაძის ასულის

დონაძისა

ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზედ. 1171 1—1

დარიკო ბიჭიას ასული გეგეჭკორისა, ნინა თეიმურაზის ასული და ლავრენტი პავლეს-ძე ბერიები, კოლია ნესტორის-ძე და ნინო იოსების ასული შავდიები აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, პირველის მაზლის და დანარჩენის საყვარელი ბიძიასი

ალექსანდრე სვიმონის ძე

გეგეჭკორის

გარდაცვალებას. დაკრძალვა, აპრილის 30-ს დ. მარტვილში. 1176 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 30 აპრილს

აბესალომ და ეთერი

ბ. 1178. 2—2

„ცენტროტრამოტი“

გაიხსნა საზაფხულო მიმოსვლა

კანტორა: პუშკინის ქუჩა № 2, ყოფილი ქარვასლა თამამშევისა.

ტელეფონი: 20—96.

ბ. 1177. 3—1

გლეხის ცენტრალური სახლის მმართველობა

ამით აცხადებს,

რომ 5 მაისს დანიშნულია

ვაჭრობა-შეჯიბრება

გლეხის ცენტრალური სახლის შენობაში, ძირა სარდაფში სასადილოს მოსაწყობად და ელექტრონის ხაზის გასაყვანათ.

1) ვაჭრობა-შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთ, არსებულ მუშების კოლლექტივებს და კერძო პირთაც.

2) ყველა ვაჭრობა-შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებნი გარდა სახელმწიფო ორგანიზაციებისა ვალდებულნი არიან წარმოადგინონ 10 პროცენტი იმ თანხიდან რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვაში.

3) ვაჭრობა-შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ შეუძლიანთ დაწვრილებითი ცნობები და კონდიციები მიიღონ გლეხის ცენტრალურ სახლის გამგისაგან დილის 10—ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, შემდეგი მისამართით: ვოლოდარის ქუჩა № 11.

გლეხის ცენტრ. სახლის გამგე: **დ. ნასარიძე.**

ბ. 1180

მოითხოვეთ ყველგან

სახღვინტრესტის

მიერ გამოშვებული ყველა ხარისხის

ლ უ დ ი

ლუდი მზადდება საუკეთესო ბოჰემური მაჰიასაგან

მოსკოვის ლუდის ქარხნის მთავარი მხდელის ამხ. მიკლერის მიერ

ქარხანა № 6, კამოს ქუჩა ტელ. № 11—92.

ბ. 1101. 5—3

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი“-ს** მთავარ კანტორაში

(**რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული**).

678 0—8. **გაზ. „კომუნისტი“-ს** მთავარი კანტორა.

Открыта подписка на газету:

„РАБОЧАЯ ПРАВДА“

в **М А Е** месяце

ВСЕ ПОДПИСЧИКИ

„РАБОЧЕЙ ПРАВДЫ“

ПОЛУЧАТ 2 БЕСПЛАТНЫХ

ПРИЛОЖЕНИЯ

Брошюру т. Сталина: **„Крестьянский и Национальный вопросы“.**
Книгу „Поэты Закавказья—**ИЛЬИЧу**“.

ПОДПИСНАЯ ЦЕНА С ПРИЛОЖЕНИЯМИ:	
	В городе, для членов профсоюзов. . 65 коп.
	остальным . 1 руб.
	Иногородним. . . . . 75 к. и 1 р. 10 коп.

С приложением двухнедельной газеты

„ЮНЫЙ ПИОНЕР“

1180 3—1 НА ПЯТЬ КОПЕЕК ДОРОЖЕ.

სამკერვლო მრეწ. წარმოებების მოსკოვშვეის სახელ. გაერთიანება

ტრესტი „მოსკვოშვეი“ ტრესტი

ტელეფონი 6—78, რუსთაველის პროსპექტი № 10.

თბილისის განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ ა. წ. 1-ლი აპრილიდან „**სინდიშველიპრომ**“-ის მთელი აპარატი ამიერ-კავკასიაში—საწყობები და მაღაზიები **გადავიდა** ტრესტ „მოსკვოშვეის“ განკარგულებაში.

ფასები ყოველგვარ საქონელზე დაკლებულია 15-დან 30 პროცენტამდე.

მუშა-მოსამსახურეებს ფართო კოლექტიური კრედიტი

მიღებულია სასეზონო საქონლის დიდი ასორტიმენტი

ბ. 1168 3—3. „მოსკვოშვეი“-ს განყოფილების გამგე **მ. გ. შუბინი.**

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე შინ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—9

ვყიდულობ

სახლს (6-დან 10 ოთახამდის)

რუსთაველის პროსპექტის ზემო მხარეში. აგრეთვე ვერისკენ. გამყიდველთ შეუძლიათ მომმართონ: ელისაბედის ქ. № 63. დილ. 8—10 ს. და საღ. 3—5 ს. იკითხეთ: პავლიაშვილი.

№ 1172. 1—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს,

რომ 1925 წლის პირველი მაისიდან შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემდეგი საზაფხულო ცხრილი სად. თბილისში.

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი 1925 წლის 1 მაისიდან

თბილისიდან მიმავალი მატარებლები:

სასწრ. მატ.	№ 1	გადის	მოსკოვამდე	23 ს. 55 წ.	ოთხშაბათობით,	მიდის	მოსკოვში	16 ს. 45 წ.	კვირაობით
„ „	№ 1	„	ლენინგრადამდე	23 „ 55 „	კვირაობით,	„	ლენინგრადში	10 „ 40 „	პარასკეობით
საფოსტო	№ 3	„	როსტოვამდე	9 „ 25 „	ყოველდღიურად,	„	როსტოვში	5 „ 30 „	ყოველდღიურ.
„	№ 3	„	ჯულფამდე	18 „ 00 „	„	„	ჯულფაში	22 „ 15 „	„
„	№ 4	„	ბათომამდე	23 „ 00 „	„	„	ბათომში	12 „ 45 „	„
„	№ 3 კახ.	„	თელავამდე	23 „ 25 „	„	„	თელავში	7 „ 30 „	„
სამგზავრო	№ 7	„	ბაქომდე	14 „ 40 „	„	„	ბაქოში	7 „ 15 „	„
„	№ 8	„	ბათომამდე	16 „ 30 „	„	„	ბათომში	4 „ 15 „	„
„	№ 10	„	ფოთამდე	7 „ 55 „	„	„	ფოთში	20 „ 45 „	„
„	№ 18	„	ბორჯომამდე	13 „ 20 „	„	„	ბორჯომში	17 „ 45 „	„
„	№ 20	„	„	14 „ 20 „	„	„	„	20 „ 00 „	„
სამგზ.-საბ.	№ 21	„	ბაქომდე	19 „ 20 „	„	„	ბაქოში	23 „ 55 „	„
„	№ 22	„	ბათომამდე	21 „ 00 „	„	„	ბათომში	22 „ 25 „	„
„	№ 21-ე	„	ერევნამდე	7 „ 35 „	„	„	ერევანში	8 „ 10 „	„
„	№ 21 კახ.	„	წნორის წყლამ.	9 „ 00 „	„	„	წნორის წყალში	17 „ 55 „	„

თბილისში მომავალი მატარებლები:

სასწრ. მ.	№ 2	გამოდის	მოსკოვიდან	ხუთშაბათობით	15 ს. 30 წ.	მოდის	თბილისში	5 ს. 45 წ.	ორშაბათობით
„	№ 2	„	ლენინგრადიდან	კვირაობით	23 „ 00 „	„	„	5 „ 45 „	პარასკევობით
საფოსტო	№ 4	„	როსტოვიდან	ყოველდღე	23 „ 50 „	„	„	21 „ 05 „	ყოველდღე
„	№ 3	„	ბათომიდან	„	17 „ 05 „	„	„	7 „ 30 „	„
„	№ 4-ჯ.	„	ჯულფიდან	„	6 „ 40 „	„	„	11 „ 30 „	„
„	№ 4-კახ.	„	თელავიდან	„	9 „ 30 „	„	„	17 „ 45 „	„
სამგზავრ.	№ 7	„	ბათომიდან	„	1 „ 00 „	„	„	13 „ 10 „	„
„	№ 8	„	ბაქოდან	„	21 „ 15 „	„	„	14 „ 50 „	„
„	№ 9	„	ფოთიდან	„	5 „ 30 „	„	„	19 „ 40 „	„
„	№ 17	„	ბორჯომიდან	„	23 „ 50 „	„	„	4 „ 25 „	„
„	№ 19	„	„	„	1 „ 10 „	„	„	6 „ 45 „	„
სამ.-საბ.	№ 21	„	ბათომიდან	„	4 „ 00 „	„	„	3 „ 45 „	„
„	№ 22	„	ბაქოდან	„	7 „ 00 „	„	„	13 „ 15 „	„
„	№ 22-ე	„	ერევნიდან	„	21 „ 15 „	„	„	22 „ 00 „	„
„	№ 22-კახ.	„	წნ.-წყალიდან	„	19 „ 35 „	„	„	5 „ 25 „	„

მატარებლები № 17 და 18 (ჩქარი) თბილისსა და ბორჯომს შორის პატარა სადგურებზე და ბაქანებზე (პლატფორმებზე) არ ჩერდებიან.

შენიშვნები: 1) საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც ჩამორჩება ადგილობრივ დროს ერთი საათით.

2) № 1 და 2 მატარებლებში მოიპოვება თითო რონოდა პირდაპირ მიმავალი ბათომამდე, ბორჯომამდე და ერევნამდე და ორი საბარგო რონოდა, რომელშიაც მიიღება ის ტვირთები, რომლებიც მალე ხდება და აგრეთვე ცენტრში გადასაგზავნი ბარგები.

3) № 9 და 10 მატარებლებს ყოველდღიურად დაჰყვება სამი რონოდა პირდაპირ მავალი თბილის-ქუთაის შორის, ხოლო № 19 და 20 მატარებლებს—ერთი რონოდა თბილის-სურამს შორის.

4) ახალ ცხრილზე გადასვლის გამო 30 აპრილს მატარებელი № 3 თბილისიდან ჯულფამდე წავა ერევანში შესვლით ახალი ცხრილის მიხედვით, ხოლო მატარებელი № 10 ფოთამდე და № 21 გურჯაანამდე 30 აპრილისათვის მოიხსნება. 1 მაისიდან მატარებლები № 21 და 22 ბათომამდე და ბაქომდე ივლიან საკლასო რონოდებით მგზავრებისათვის, ამავე დროს მატარებლის როსტოვში გასაგზავნად 29 აპრილს თბილისიდან ბაქოში მატ. № 21 წავა საკლასო რონოდებით ძველი ცხრილის მიხედვით, ე. ი. თბილისიდან გავა ღამის 1 საათზე და 30 წუთზე.

ბ. 1174. 2—2

მუსიკალური-ტრესტი

იწვევს მოქალაქეებს, რომლებიც რიგში არიან

№ 100-დან 200-დე

კლავიშებიანი

საკრავების მისაღებათ

გამოცხადდენ ასეთების მისაღებათ

ვინც არ გამოცხადდება რიგს დაჰკარგავს

მუსიკალური ტრესტის წარმომადგენლობა

ბ. 1182

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

კურორტთა მთავარი

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ რადიო-აქტიურ თბილ სამკურნალო წყლების

კურორტ წყალტუბოზე სეზონი

იხსნება 1-ლ მაისიდან

იგზავნებიან: ქრონიკული სახსრების რევმატიზმით, ნევრალგიით, ლიმფატიური ჯირკვლების დაავადებით ქრონიკული ქალური ავადმყოფობით და აგრეთვე ნეკრესის ქარებით.

ავადმყოფებს მიეცემათ აბაზანები და საცხოვრებელი ბინა (ოთახი).

აბაზანი . . . . 40 კაპ.

ოთახი დღე-ღამეში 1—2 მან-დე

ავადმყოფი დაშვებული იქნება აბაზანებში მხოლოდ ექიმის წინასწარი შემოწმების შემდეგ—შემოწმებისათვის ავადმყოფების გადახდებათ 1 მანეთი.

საკურორტო ამბულატორიაში ავადმყოფები უფასოთ იქნებიან მიღებული ექიმ **ტერაპევტის და გინეკოლოგის** მიერ.

დაზღვეულებს, წითელ-არმიელებს, გლეხებს და მათი ოჯახების წევრთ სათანადო საბუთების წარმოდგენით ექნებათ 25 პროცენტი შეღავათი როგორც ოთახებზე, ისე ბანობაზე და ექიმის შემოწმების გადასახადში.

კოოპერატიულ სასადილოში შეიძლება ხელ. მისაწვდომ ფასებში სადი საჭმელის მიღება.

ბ. 1147 5—5

ე ქ ი მ ი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—18

არ არის უკეთესი

კ ე ფ ი რ ი, ვ ი დ რ ე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს **ყველაზე საუკეთესო** კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ

ბ. 1106 25—9

ე ქ ი მ ი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—13

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-პირდაპირ.

№ 3203. 25—12

ე ქ ი მ ი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—14

ე ქ ი მ ი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—11.

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.
საღამოს—5—6 საათ.

25—23

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—11

ე ქ ი მ ი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—2

ე ქ ი მ ი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—3

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი

თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—19

დავკარგე ფერშლის წოდების ატესტატი, მიღებული 1902 წელში ქ. თბილისის სასწავლებლიდან ალექსანდრე ლევანისძე ხუნდაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1174.

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რაჟდენ ლუკას ძე მაცვანაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1175.

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ლიუბა სიმონის ასული სუბოტინისა და ნინა ალექსანდრეს ასული ბაქრაძისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1170.

დავკარგე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წიგნაკი № 1652 ლილი ნესტორ ჩარკვიანის ასულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1168.

დავკარგე მოწმობა მელიტონ ნიკო ფარიძის სახელობაზე მოცემული რაზმის უფროსისგან 30 იანვარს 24 წ. № 323. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1173.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 116, სამხედრო ნუსხა № 41. და მეტრიკული მოწმობა ჩემი შვილებისა ზვარეთის აღმასკომის მოცემული ნიკოლოზ გიორგის ძე ბაქრაძის გიორგი და ოთარ ნიკოლოზის ძე ბაქრაძეების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1169.

ტირაჟი—20.471

[illegible] სტამბა, საბა წულუკიძის ქ. № 4